საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისფბაზე უსაძაგღესია.

ხუთშაბათი, 31 მარტი. 2016 წ. №59 (7951), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია, იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია!..

წმინდა გიორგი

წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია,
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!..

ზვიად გამსახურდია

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმიდან 25 წელი შესრულდა

დღეს, 31 მარტს, ქვეყანაში აღინიშნება 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის 25-ე წლისთავი.

რეფერენდუმში მონაწილეობდა 3.302.302 კაცი. მასში აქტიურად იყო ჩართული სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც.

რეფერენდუმის შეკითხვას – **„ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“** – საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის (მათ შორის აფხაზებმა და ოსებმა) 98 %-მა პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა.

1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

1991 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა 31 მარტს გამართული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები, რომლის მიხედვით:

ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3. 657. 477

რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი – 3. 302. 572, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90, 3%;

კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი – 3. 326. 100; რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 89.3%-ს;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრეთა რიცხვი – 3. 295. 493, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 98, 9%-ს;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მომხრეთა რიცხვი – 17.400, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0, 53%-ს.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347.175; რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61, 27%-მა; კენჭისყრაში – 61, 23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97, 73%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59,84%-ს. უარყოფითად გადაწყვეტას – 1, 42%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0, 87%-ს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 224. 788; რეფერენდუმსა და კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 96, 64%-მა. სარეფერენდუმოდ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში – 97, 67%-მა. უარყოფითად – 1, 42%-მა.

გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იქ მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა ახალსოფელში. ტყვარჩელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მაშინ გამოთქვა სურვილი რეფერენდუმის ჩატარებაზე, როდესაც საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ყველა ვადა ამოწურული იყო.

ქალაქ ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180 ამომრჩეველმა.

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხი მიღებულად ჩაითვალა.

ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით.

ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი საქართველოსთან მიმართებაში იქნება გათილი და აგრესიის გამომხატველი. თუ იგი არ გაითვალისწინებს 31 მარტის რეფერენდუმით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ რეალიებს.

* * *

რეფერენდუმი საგანგებოდ ჩატარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, რომელსაც წლეულს 77 წელი შეუსრულდებოდა.

შესანიშნავი მწერალი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი და ეროვნული მოღვაწე ზვიად გამსახურდია თავისუფლებისა და საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. მისი სიცოცხლე და მოწამებრივი სიკვდილი დღესაც აფხიზლებს ქართველ ხალხს და ერთობისა და შერიგებისკენ, სიყვარულისა და შენდობისკენ მოგვიწოდებს...

როინ მეტრეველი ⑥

შვიდ საუკუნოდ განწესებული

დიდგორის ბრძოლა

გრანდიოზული სკანდალი „ძმებს“ შორის,

ანუ რატომ ამჯობინა ჩრდილოეთელმა ოსმა სამხრეთელ ოსს საქართველო

თუ დავუშვებთ, რომ ხვალ რუსეთი და საქართველო აღადგენენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, მაშინ სამხრეთ ოსეთის მდგომარეობაც შეიძლება, შეიცვალოს, კარდინალურადაც კი, თუნდაც სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში არ შევიდეს. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება, ითქვას, როგორც არშემდგარი სახელმწიფო და ზედმეტი ტვირთი, იგი რუსეთს არ დასჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო ჩვენს მეზობლად დარჩება, როგორი ურთიერთობაც არ უნდა ააწყოს მან მსოფლიოსთან და რუსეთთან. ⑧

სად ლუგარის ლაბორატორია და სად – ზიკას ვირუსი!

რუსებმა ზიკას ვირუსის გადამტან „კრასნოდარელ“ კოღოს მოუარონ

⑤

მე-9 და მე-10 ენერგობლოკები რუსებისგან ბეჭუაშვილებმა იყიდეს?

③

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პრემიერმა საპატიო სტუმარს უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივან ფილიპ ჰამონდს სა-

მუშაო სადილზე უმასპინძლა. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითად საკითხებს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგზე.

ბრიტანეთის საგარეო მდივანმა დაადასტურა გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე და ხაზი გაუსვა მიღწეულ პროგრესს.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა ფილიპ ჰამონდს საქართველოს მხარდაჭერისთვის და ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო, პარტნიორული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღმავების იმედი გამოთქვა.

მთავრობის წევრები უნდა გაჩუმდნენ და დაეხმარონ კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოს“!

ეს არის შემთხვევა, როცა მთავრობის წევრები ალბათ უნდა გაჩუმდნენ და დაეხმარონ კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოს“, რომ უფრო მეტი კარგი საქმე გავაკეთოთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ,„ექსპო-ჯორჯიაში“ განაცხადა, სადაც კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოს“ საქმიანობის პრეზენტაცია გაიმართა.

კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა კომპანიის დამფუძნებლებს იმ საქმისთვის, რომელსაც საკვები პროდუქციის მწარმოებელი კომპანია საქართველოში, კერძოდ, რაჭის რეგიონში ახორციელებს.

„მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი გუნდის მოტივაცია, რომ ეს პროექტი კიდევ უფრო განვითარდეს და მეტი მასშტაბი მიიღოს, დღეს არის გაათმაგებული. ეს არის საპილოტე პროექტი, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ მისი პოტენციალი არის ასმაგი, ვიდრე დღეს გააჩნია. მოდელი, რომელიც თქვენ დანერგეთ, არის ყველაზე თავსებადი ქართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურასთან და თითოეული ადამიანის მოტივაციასთან, რომელიც ამ პროექტში არის ჩართული. ზუსტად ეს არის მოდელი, რომელიც წვრილ მეწარმეს უნარჩუნებს მესაკუთრის ამბიციას და ამავე დროს იძლევა საშუალებას, დაინერგოს საუკეთესო ევროპული ტექნოლოგიები. ასევე იძლევა დაფინანსების და მასშტაბების ეკონომიის საშუალებას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და კომპანიის მესვეურებს მთავრობის მხარდაჭერა აღუთქვა.

კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველო“ 2008 წელს ქართველი და შვეიცარიელი დამფუძნებლების მიერ შეიქმნა. კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი საკვები პროდუქტების წარმოება შვეიცარული სტანდარტის მიხედვით. კომპანიაში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 53 ადამიანს შეადგენს. კომპანია ხორცისა და რძის პროდუქტებს აწარმოებს და აქვს საკუთარი საფირმო მაღაზიები გახსნილი.

პარლამენტში პლენალური სხდომა ჩაიშალა

პარლამენტში, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელისთვის უნდა მოესმინათ, პლენარული სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა.

ვახტანგ გომელაურს უწყების ანგარიში უნდა წარედგინა.

დეპუტატებმა რეგისტრაცია სამჯერ გაიარეს, თუმცა, არცერთხელ დარბაზში პარლამენტის წევრთა საკმარისი რაოდენობა — 76 არ აღმოჩნდა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განმარტებით, დეპუტატების ნაწილი იმყოფება საზღვარგარეთ მივლინებაში, ნაწილი კი — მართავს შეხვედრებს ევროპარლამენტის დელეგაციასთან. მისი თქმით, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დეპუტატების საკმარისი რაოდენობა დარბაზში არ აღმოჩნდა.

მისივე თქმით, პარლამენტის პლენარული სხდომა პარასკევს 12 საათზე გაიმართება.

* * *

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის განცხადებით, მოახლოებული არჩევნების გათვალისწინებით რუსული პროპაგანდის ფონი მომატებულია, თუმცა, აქვე ისიც ითქვა, რომ საქართველოში რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიცაა შემოსული.

„გაზპრომთან“ ხელშეკრულება უახლოეს დღეებში გაფორმდება

„გაზპრომთან“ გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზე ისევ მუშაობა მიმდინარეობს და ვფიქრობ, ეს პროცესი უახლოეს დღეებში დასრულდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილმა განუცხადა.რაც შეეხება იმას, თუ შეიძლება პირობები გადაიხედოს, ვალიშვილის თქმით, ქართული მხარის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია და არ ფიქრობს, რომ ამ პოზიციებში რაიმე ცვლილება შევა.

საქართველოს ხელისუფლება „გაზპრომს“ თანამშრომლობის ძველი პირობებით გაგრძელებას სთავაზობს.

ვლადიმერ პაპავა 1 მაისიდან რექტორი აღარ იქნება!

1 მაისიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა თანამდებობიდან გადადგება.

„აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა რექტორის თხოვნა გადადგომის თაობაზე 1 მაისიდან“, — განამარტავენ თსუ-ში.

გავრცელებული ინფორმაციით, 1 მაისამდე უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები ჩატარდება.

თსუ-ს თვითმმართველობა შიმშილობას არ წყვეტს

ლადო პაპავას მიერ თანამდებობის დატოვების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, თსუ-ს თვითმმართველობის წევრები, რომლებიც უკვე მესამე დღეა შიმშილობენ, პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ. მათი თქმით, ლადო პაპავა არა ერთ თვეში, არამედ დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს!

მსხვერპლთა ჭანჯვა - სინდისის მძიმე ტვირთი

„The Guardian“: რუსეთ-საქართველოს ომზე, ჰაგის პროკურორ ფატუ ბენსუდას ინტერვიუ

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა უფლებამოსილება მომანიჭეს, რომ დავიწყო იმ სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, რომლებიც, სავარაუდოდ, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის დროს მოხდა“, — წერს ჰაგის სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა თავის სტატიაში, რომელიც გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა „The Guardian“-მა გამოაქვეყნა.

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE მასალის რეზიუმეს გვთავაზობს.

„რომის სტატუტის თანახმად (შეთანხმება სასამართლოს შექმნისა და ფუნქციების შესახებ), სასამართლოს არ შეუძლია იმ შემთხვევების გამოძიება, რომლებზეც უკვე მუშაობს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა“, — ნათქვამია სტატიაში. ფატუ ბენსუდა აღნიშნავს, რომ ამ კონფლიქტით სასამართლო ჯერ კიდევ 2008 წელსვე დაინტერესდა, მაგრამ გასული წლის მარტამდე საქართველო გამოძიებას თავისი ძალებით აწარმოებდა. გამოძიება შეწყდა იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთსა და მის ირგვლივ რეგიონში სიტუაცია არასტაბილურია. 2015 წლის მარტში საქართველომ სასამართლოს

პროკურორის კანცელარიას აცნობა, რომ გამოძიების გაგრძელება სახელმწიფო ორგანოების მიერ უკვე შეუძლებელია.

„და რადგანაც უკვე გამოძიება სახელმწიფო დონეზე უკვე აღარ მიმდინარეობდა, მე ვთხოვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს, უფლება მიეცათ ჩემი კანცელარიისთვის საკუთარი გამოძიება დაგვეწყო“, — იტყობინება ფატუ ბენსუდა თავის სტატიაში.

პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ გამოძიება არაა დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან და პოლიტიკური დაპირისპირების მოგვარებასთან, არ ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრას და არც იმას, თუ ვისი ბრალი იყო 2008 წელს საბრძოლო მოქმედებების დაწყება რეგიონში.

— ჩვენი მანდატი ეხება პირადი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენას, — განმარტავს სასამართლოს პროკურორი, — ჩვენი ამოცანაა, მივაღწიოთ სამართალს იმ დანაშაულობათა მსხვერპლთათვის, რომლებიც, სავარაუდოდ, 2008 წლის ომის დროს იქნა ჩადენილი. ჩვენი ამოცანაა — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დავაკისროთ დამნაშავეებს, ბრალეულებს, მათი სტატუსისა და ეროვნების მიუხედავად.

ფატუ ბენსუდა აღნიშნავს, რომ იგი უკვე ესაუბრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, კერძოდ, თებერვალში შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს და მთავრობის რამდენიმე წევრს. ამ ვიზიტის დროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დელეგაციამ თბილისგან მხარდაჭერა მიიღო.

„იმედი მაქვს, რომ ჩემს კანცელარიასთან კონფლიქტის ყველა მხარე ითანამშრომლებს. ჩვენ ხელისუფლების ყველა ორგანოს წარმომადგენელს გავესაუბრებით, ვისაც ამ კონფლიქტთან რაიმე შეხება აქვს. მოვინახულებთ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ადგილებსაც. ჩვენ მზად ვართ ამის გასაკეთებლად“, — წერს ფატუ ბენსუდა.

— მე მტკიცედ მაქვს განზრახული, ყველაფერი გავაკეთო, რაც ჩემზეა დამოკიდებული და იმედი მაქვს, რომ დანარჩენი მხარეებიც ასე მოიქცევიან. უმოწყალო დანაშაულის მსხვერპლთა ტანჯვა სინდისის მძიმე ტვირთად უნდა იქცეს. ეს ჩვენთვის სიმართლის დადგენის სტიმული უნდა გახდეს. ჩვენი ვალია — მივაღწიოთ მართლმსაჯულებას, — აცხადებს პროკურორი.

საოკუპაციო ხაზის გასწრივ ახალი ხეხილის ბაღები გაშენდება

84 ბენეფიციარმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში დაფინანსება მიიღო, ჯამურად 2,881,000.00 ლარი.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალი“ მენეჯერმა ლევან დოლიძემ შიდა-ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა სოსო ოქრომელიძემ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ზერტში დაათვალიერეს პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ბენეფიციარის ლეილა ტიელიძის ბაღის გაშენების პროცესი. ლეილა ტიელიძე პროგრამაში 2015 წელს ჩაერთო და 7 ჰექტარზე ვაშლის ბაღის გაშენებისთვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 70,000.00 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. მიღებული დაფინანსებიდან 65,115.00 ლარი ნერგებზე ხოლო 4,885.00 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.

შიდა ქართლში: გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონებში 430 ჰა მიწის ფართობზე წლის ბოლომდე ვაშლი, ქლიავი, ატამი, ბალი და ნუში გაშენდება. ხოლო უშუალოდ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 16-მა ბენეფიციარმა უკვე 74 ჰა. ფართობის ხეხილის ბაღები გააშენა. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გასაშენებელი ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 1292 ჰა-ს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 6,4 მილიონ ლარს აღემატება.

◎ ძმები პოზიციებს იმაგრებენ!

მე-9 და მე-10 ენერგობლოკები რუსებისგან ბექუაშვილებმა იყიდეს?

რუსული კომპანია „ინტერ რაო“ საქართველოში აქტივების ნაწილს ყიდის. ამის შესახებ როგორც ქართული, ასევე რუსული წყაროები საუბრობენ. საქმე ეხება „მტკვარი ენერგეტიკას“, ანუ თბოელექტროსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკს. რუსულ კომპანიაში ჯერჯერობით ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ და განმარტავენ, რომ ამგვარი გარიგება არ მომხდარა.

თუმცა „ინტერ რაოსა“ და ქართულ მხარეს შორის მოლაპარაკებების მიმდინარეობის ფაქტი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში დაადასტურეს.

— ჩვენ ვადასტურებთ, რომ ნამდვილად მიმდინარეობს მოლაპარაკებები „ინტერ რაოსა“ და „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ შორის, თუმცა საბოლოო შეთანხმება მიღწეული ჯერ არ არის, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

„მტკვარი ენერგეტიკა“ ელექტროენერგიის წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებს. ელექტროენერგიის წარმოება ხდება თბოელექტროსადგურის მეშვეობით, რომელიც ქალაქ გარდაბანთან მდებარეობს. სადგური ორი ენერგობლოკისგან შედგება, თითოეულის სიმძლავრე 250-300 მეგავატია. „მტკვარი ენერგეტიკას“ გარდა, „ინტერ რაოს“ აქტივებს საქართველოში წარმოადგენს ელექტროსადგურები „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“, ასევე ენერგოკომპანია „თელასი“. გარდაბნის ენერგობლოკების გარდა, აპირებს თუ არა რუსული კომპანია სხვა აქტივების გაყიდვას, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ერთ-ერთი დირექტორი გელა ბეჟუაშვილია. იგი 2005-08 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მანამდე კი საქართველოს პირველი სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი იყო. ბეჟუაშვილი 2004—05 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად მუშაობდა.

მისი ძმა, ბიზნესმენი დავით ბეჟუაშვილი 1994 წლიდან არის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ორი კომპანიის — CHEMEXIM INTERNATIONAL LTD-sa და KEMBLE TRADING LTD-ს პარტნიორი. სწორედ ეს კომპანიაა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მფლობელი.

„ინტერ რაოს“ მიერ ქართული აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებით კომენტარის მისაღებად „კომერსანტი“ ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ აღნიშნული ბლოკების მიმართ დაინტერესება არის ინდუსტრიული ჯგუფის მხრიდან, თუმცა რამდენადაც სამინისტროსთვისაა ცნობილი, ჯერ მოლაპარაკებები დასრულებული არ არის.

პარალელურად კი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიკა ვალიშვილი ადასტურებს რუსული ენერგოგიგანტის მიერ ქართული აქტივების ქართული კომპანიისთვის მიყიდვის ფაქტს და აცხადებს: **„დოკუმენტი არ მინახავს, თუმცა ინფორმაცია მაქვს, რომ საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ „ინტერ რაოსგან“ ეს აქტივი შეიძინა.“**

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ძალიან კარგია, როდესაც რუსული გიგანტი ყიდის თავის აქტივებს და მას ყიდულობს ქართული კომპანია. ასეთი რამ საქართველოსთვის უცხო რამაა.

„რატომ გაყიდა „ინტერ რაო ეესმა“? აქ ორი მიზეზია — პირველი იმიტომ, რომ მეათე ბლოკი აფეთქებულია და დღემდე არ მუშაობს. მეცხრე ბლოკი საკმაოდ ნორმალურად მუშაობს, მაგრამ ბეჟუაშვილის კომპანია დღეს ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა და თბოელექტროსადგურებში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს. შედეგად, ამ აქტივების შეძენა არ არის ცუდი და ისეთს არაფერს არ შეცვლის. ჩემი აზრით, ეს არ იმოქმედებს არც ტარიფზე. „ინტერ რაოს“ რომ გაეყიდა სხვა აქტივი, მაგალითად, ხრამჰესები, მაშინ ეს ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენდა“, — განაცხადა თემურ ჭიჭინაძემ.

ბექა დანელია

უპასუხისმგებლო ბატონი დაული თბილისში ვიზიტის პერიოდში ბევრ რამეს გაიგებს!..

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ ყველა პარტია და სუბიექტი, ვისაც შეხვედრა ექნება „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტ ჯოზეფ დაულისთან, ხაზს გაუსვამს ვიზალიბერალიზაციის პროცესის მნიშვნელობას საქართველოსთვის.

„ვფიქრობ, რომ ვიზიტის დაწყებისას პირველივე კომენტარებისას ცნობილი გახდა, და ეს დაადასტურა თბილისში ვიზიტად მყოფმა ევროპარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, რომ არჩევნები არ არის და არ შეიძლება იყოს ვიზალიბერალიზაციის სამიზნე. ჩვენი ხელისუფლების სამიზნეა, რომ ჩავატაროთ თავისუფალი, გამჭვირვალე არჩევნები და გადავდგათ წინ დიდი

ნაბიჯი ევროპისკენ. ამ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია, ისეთი საკითხების წარმატება, როგორიც ვიზალიბერალიზაციაა. აქედან გამომდინარე, იმ რეფორმებზე, რაც საქართველომ დაასრულა, რომელსაც ძალიან მაღალი შეფასებები ჰქონდა ევროკომისიის მხრიდან, მე ვფიქრობ, რომ ბატონი დაული მისი თბილისში ვიზიტის პერიოდში ძალიან ხშირად გაიგებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა პარტია, ის სუბიექტი, ვისაც ექნება მასთან შეხვედრები, აუცილებლად ხაზს გაუსვამს ამ პროცესის მნიშვნელობას საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

...მემარცხენე ალიანსის“ წევრები კი მის ვიზიტს აპროტესტებენ

ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ჯოზეფ დაულის აეროპორტში პროტესტით დახვდნენ პოლიტიკური პარტია მემარცხენე ალიანსის ახალგაზრდული ფრთის წევრები. აქციის მონაწილეებმა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ჯოზეფ დაულის განცხადება გააპროტესტეს და EPP-ის პრეზიდენტს ნაციონალური მოძრაობის მიერ მართული უწოდეს.

„მემარცხენე ალიანსი“ ემიჯნება ბატონი დაულის განცხადებას იმისთან დაკავშირებით, რომ საქართველომ არ უნდა მიიღოს ვიზალიბერალიზაცია არჩევნებამდე. ჩვენ ვემიჯნებით ნაციონალურ მოძრაობას და ვაპროტესტებთ მის სატელიტ ორგანიზაციებს. ეს ადამიანი არის კორუმპირებული და ჩვენ მას მოვუწოდებთ, ნუ დააზიანებს საქართველოს მომავალს“, — განაცხადა მემარცხენე ალიანსის წევრმა ზურაბ გოხაძემ.

ევროპარლამენტარები თბილისში და შეფასებები EPP-ს პრეზიდენტის განცხადებაზე

თბილისში ევროპარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები იმყოფებიან, მათ კომენტარი გააკეთეს EPP-ს პრეზიდენტის ჯოზეფ დაულის განცხადებაზე. ისინი დაულის მოსაზრებას არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ ვიზალიბერალიზაცია არ არის დაკავშირებული რომელიმე ხელისუფლებასთან ან არჩევნებთან.

„მწვანეთა პარტიის“ წევრი ჰაიდი ჰაუტალა: „ვფიქრობ, უპასუხისმგებლობა იქნებოდა ახლა ვიზალიბერალიზაციის პროცესი არჩევნებთან დაგვეკავშირებინა, რადგან ეს არ არის დაკავშირებული რომელიმე ხელისუფლებასთან ან წინა საარჩევნო და არჩევნების შემდეგ პროცესთან. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების მხრივ და არაა დაკავშირებული იმასთან, ვინაა ხელისუფლებაში“.

პაველ სვობოდა, ევროპის სახალხო პარტიის წევრი: „იმედი მაქვს ახლა, როდესაც ევროკომისიამ წინადადება უკვე წამოაყენა, ევროპარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ვიზალიბერალიზაციის შესახებ. იმედი მაქვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპარლამენტში პოზიტიური განწყობა იქნება. პოზიტიური განწყობა იქნება სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების კომიტეტში, რომელიც სავიზო საკითხებზე მუშაობს. შემდეგ დებატები გაიმართება ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე. დარწმუნებული ვარ და იმედიც მაქვს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება იქნება პოზიტიური და მსგავსი განწყობა შეიქმნება ევროპარლამენტშიც“.

ბიზნესისა და საინვესტიციო განვითარებაში უნგრეთი მილიონებით გვეხმარება

უნგრეთი საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო ხელშეწყობისთვის 68-მილიონიან საკრედიტო ხაზს გამოყოფს, — ამის შესახებ ცნობილი გახდა უნგრეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძისა და უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს პიტერ სიიარტოს შორის გამართული შეხვედრის დროს. **უნგრული მხარის ინიციატივით, „ექსიმ ბანკში“ ქართული და უნგრული ერთობლივი პროექტების ხელშეწყობისთვის 68 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გაიხსნება. აღნიშნული საკრედიტო ხაზით სარგებლობის შესაძლებლობა ორივე ქვეყნის იმ კომპანიებს მიეცემათ, რომლებიც ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ.**

შეხვედრაზე მინისტრებმა განიხილეს საქართველოსა და უნგრეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, უნგრელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს მიმართ მისი პერსონალური მხარდაჭერისათვის.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქვეყნის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. როგორც პიტერ სიიატრომ აღნიშნა, ბუდაპეშტი მომხრეა ევროპული და ევრო-ატლანტიკური გაფართოების და მომავალშიც ურყევად გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას.

მთავარია, მინისტრის ვიზიტი შედეგიანი იყოს

კატარის სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია კატარის ეკონომიკისა და კომერციის მინისტრს, შეიხ აჰმედ ბინ იასიმ ალ თანს შეხვდა.

როგორც კატარის ეკონომიკისა და კომერციის მინისტრმა აღნიშნა, კატარის სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება, სადაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაა. მინისტრის განცხადებით, ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, ბიზნესსექტორის ჩართულობის გააქტიურებას, ასევე, სავაჭრო მიმართულებით ლოჯისტიკის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ოთარ დანელიამ მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება. მხარეებმა თბილისში ბიზნესფორუმის გამართვისა და ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე ისაუბრეს.

გახშირებულმა ტერაქტებმა ნათლად წარმოაჩინა ანტაგონიზმი რადიკალ მუსლიმანებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. რადიკალ მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის საუკუნეობრივ დაპირისპირებას თან ერთვის მუსლიმანი სუნიტებისა და შიიტების ბრძოლა, ისიც საუკუნეობრივი, მაგრამ 21-ე საუკუნეში მან მეტი სისასტიკე, მეტი სისტემატურობა შეიძინა.

სოციალური უთანხმოება, სოციალურ ფენებს შორის გაჩენილი ხრამი, უმუშევრობა, გაუნათლებლობა, ორმაგი სტანდარტები — აი, ის ძირითადი ფუნდამენტი, რომელზეც კარგად ხარობს რადიკალური ისლამი, საერთოდ ტერორიზმი. ღარიბთა მდიდრებზე შეტევა არახალია, თუმცა დღევანდელ პირობებში მან უკიდურესი ფორმები და სისტემურობა გამოავლინა.

ისე, როგორც ყველა წინა შემთხვევაში — „ისლამური სახელმწიფო“ არის ბრიუსელის ტერაქტების სულისჩამდგმელი. ტერორისტული დაჯგუფება, რომელმაც სირიისა და ერაყის ტერიტორიები დაიპყრო და თავი „ისლამურ სახელმწიფოდ“ გამოაცხადა, უსერიოზულეს თავსატკივრად გადაიქცა. ძნელია დაამარცხო ასეთი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ის, მაგნიტივით იზიდავს ახალ-ახალ კადრებს თვითგვემის, თავის შეწირვისთვის.

ინტერნაციონალურია „ისლამური სახელმწიფო“. მასში 80 ქვეყნის წარმომადგენელია, როგორც რიგითი ჯიჰადისტი, ისე მეცნიერები, ექსპერტები, პროგრამისტები, ეკონომისტები და ა.შ. ეს ის ძალაა, რომელმაც მანამდე შიშის მომგვრელი „ალ-ქაიდა“ ლამის ძუძუმწოვარ ბავშვად აქცია. „ისლამური სახელმწიფო“ ყველა ტერორისტულ ორგანიზაციაზე ძლერია, ამიტომაც ბევრი მათგანი აღიარებს და ემორჩილება მას.

„ისლამური სახელმწიფო“, საკუთარი ამბიციური გეგმების მიხედვით, მსოფლიო ბატონობისკენაა მიდრეკილი, სხვას ვერაფერს უწოდებ მოწოდებას — გიბრალტარიდან-ჩინეთის კედლამდე, რაც რა ხანია, მიზნად გაიხადა „ისლამურმა სახელმწიფომ“.

სად არ ნახავთ ამ „სახელმწიფოს“ ტერორისტულ ფესვებს — აფრიკაში, ევროპაში, აშშ-ში, ცენტრალურ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საკმარისი გახდა ავღანეთში ყურადღების ოდნავი მოდუნება, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ ამ ქვეყნის პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელთ ეგდო.

იგი წარმატებით მოქმედებს ლიბიასა და ნიგერიაში. პირველში, დასავლეთის უშუალო მონაწილეობით, ისეთი ქაოსია შექმნილი, რომ „ისლამური სახელმწიფო“ კი არა, მომავალი სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიც მშვენივრად გაიფურჩქნებიან.

თანამედროვე ტერორიზმი პოლიტიკას უკავშირდება, პოლიტიკის პირმშო და იარაღია ერთი ქვეყნის ხელში მეორის საწინააღმდეგოდ. პოლიტიკური თვალსაზრისით შეიქმნა ტერორისტული „ალ-ქაიდა“ და მიიმართა ავღანეთში მებრძოლი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. მამა, ისე როგორც დედა — აშშ-ის სპეცსამსახურება. რა მიიღო მსოფლიომ? — ავღანეთში გაუთავებელი ომი, მშვიდობიანი ავღანელებისა და დასავლეთელი სამხედროების უდიდესი მსხვერპლი, ნგრევა, უბედურება და, რაც მთავარია, ტერორისტული ინკუბატორი.

ავღანეთის ნორმალურ ქვეყნად გადაქცევას ეს საუკუნე არ ეყოფა. და არა მარტო ავღანეთის, მეზობელი პაკისტანის, სადაც, როგორც ავღანეთში, სხვა ტერორისტული ორგანიზაცია — „თალიბანი“ მოქმედებს.

შეიქმნა ქაოსი, რომელსაც ხშირად მართვადსაც უწოდებენ. შემქმნელმა ეს არ იკმარა და, საკუთარი ამბიციური გეგმებიდან გამომდინარე სირიასაც დაეტაკა. ცხადია, არა პირდაპირ, ირიბად, სხვისი ხელით. და ეს „სხვისი ხელი“ მის მიერ შექმნილ „ალ-ქაიდას“ ბაზაზე წარმოქმნილი ახალი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ იყო.

დასავლეთისთვის მტრად ქცეულ სირიის მთავრობას არა მარტო „ისლამური სახელმწიფო“ და „ალ-ქაიდას“ ფილიალი „ჯებხატ ან-ნუსრა“ მიუსიეს, არამედ უამრავი სხვა ტერორისტული ორგანიზაცია. მსუყე დასავლურმა დაფინანსებამ, დასავლელთა ზეწოლით, მდიდარი არაბული ქვეყნების ფულმა, პროპაგანდისტულმა მანქანამ შეაძლებინა „ისლამურ სახელმწიფოს“ თავის რიგებში სხვადასხვა ქვეყნის და ეროვნების ექსტრემისტების გაერთიანება.

თავის მოკვეთის სცენების ამსახველი ვიდეოკადრებით დაიფარა ინტერნეტი. რადიკალი ისლამისტების მიერ შევიწროვებულმა მოსახლეობამ სამშობლოდან გაქცევა არჩია. სამ მილიონზე მეტი გადავიდა თურქეთში, სხვა მეზობელ ქვეყანაში, რომლებსაც არათუ დაუპატიჟებელი სტუმრები, საკუთარი თავიც ვერ გამოუკვეთია. და შემდეგ ვიღაცის დირიჟორულმა ხელმა თურქეთში მყოფი ლტოლვილები ევროპისკენ დაძრა. მას ჩრდილო აფრიკის, ცენტრალური აზიის გაუბედურებულებიც შეუერთდნენ. შეიქმნა პრობლემა, რომლის გადაჭრას ბოლო არ უჩანს.

საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო ჩინოსნის განმარტებით, ევროკავშირზე ლტოლვილების მისევა, სირიაში რუსეთის სამხედრო ჩარევის ბრალია, ვინაიდან მისი ავიაცია ბომბავს მშვიდობიან მოსახლეობას და არა „ისლამურ სახელმწიფოს“. მოსახლეობაც იძულებულია, მიატოვოს სამშობლო და ევროპას შეაფაროს თავი. ეს განცხადება ამერიკელი გენერლის ბრილავის თბილისში ყოფნის დროს გაკეთდა. მუყაითმა მოწაფემ ასიამოვნა მასწავლებელი, რომელიც მუდამ გაიძახის, რომ ევროპას რუსეთის აგრესია ემუქრება. რამდენად ჩაუხედავი უნდა იყოს პოლიტიკოსი, რომ მსგავსი განცხადება გააკეთოს.

პირველი განმცხადებელი უბრალოდ ბრიყვია, ვინაიდან არ იცის მარტივი სინამდვილე — რუსეთი მხოლოდ 6 თვეა, რაც სირიაშია, აშშ და მისი მოკავშირეები კი ხუთი წელია, ეომებიან სირიას.

მეორე განმცხადებელი, იმის ნაცვლად, რომ ევროპაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე იფიქროს, რუსეთის არარსებულ აგრესიაზე ამახვილებს ყურადღებას, რითაც აშკარად ეწინააღმდეგება საკუთარი „თეთრი სახლისა“ და სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრებას, რაც თქვა ქერიმ მოსკოვში ვიზიტის დროს.

ოკეანისგადაღმელმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ ურჩია ევროკავშირსა და მის ლოკომოტივად წოდებულ გერმანიას, კარი გაეღოთ ლტოლვილებისთვის. ლიბერალმა და უაღრესად „დემოკრატმა“ ევროპამ ჩაიხუტა 2 მილიონზე მეტი ლტოლვილი მუსლიმანი, რითაც გაიუარესა ყოფა.

ლტოლვილთა დედად წოდებული გერმანიის კანცლერი მერკელი — მდინარის საწინააღმდეგოდ მცურავი, იმდენად დაიბნა, რომ თავის გადარჩენის ერთადერთ წყაროდ ერდოღანის თურქეთი მიიჩნია. მაინც რაოდენ სარისკო ნაბიჯი იყო მისი და ოფიციალური ევროკავშირის გადაწყვეტილება ფულით მოეხიბლათ გაქნილი ერდოღანი და მილიარდობით ევროს გამოყოფით, შეეჩერებინათ თურქეთიდან ევროპისკენ დაძრული ლტოლვილების ნაკადი.

მაგრამ ევროპისკენ დაიძრნენ არა მარტო თურქეთში მყოფი სირიელი და ერაყელი ლტოლვილები, არანაკლები ტალღა მიდის აფრიკის ქვეყნებიდან. ევროპელთა ლიბერალიზმმა, აშშ-დმი მორჩილებამ ახლა ევროპაში შექმნა ქაოსი, თვით ევროკავშირში — დაპირისპირება. ჩაიკეტა საზღვრები. უვიზო მიმოსვლის შენგენის ხელშეკრულებას წყალი შეუდგა. ცხადია, ევროპაში შესულთა შორის ტერორისტებიც არიან, მაგრამ მათი მოქმედება მომავალში გამოჩნდება. მანამდე კი ისინი ირჯებიან, ვინც მუსლიმი ევროპელებია — გადასული „ისლამურ სახელმწიფოში“.

წყნარ, დაპურებულ ევროპულ ცხოვრებას დიდი პრობლემები შეექმნა — შიში დღევანდელი და ხვალინდელი დღისა. ლტოლვილთა აღვირახსნილობამ, მოჭარბებულმა ტერორისტულმა აქტებმა და „ევროპულმა“ მეჩეთებმა, ევროპელთათვის მიუღებელმა მუსლიმური ცხოვრების წესებმა საპროტესტო სულისკვეთება გააჩინა ევროპაში, კონტინენტზე, სადაც იშვა ფაშიზმი. ზედმეტმა ტოლერანტობამ იმ ნაციონალიზმის აღორძინებას შეუწყო ხელი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ევროკავშირში დიდი პრობლემა შეიქმნა, რომლის გადაჭრას ათობით წელი დასჭირდება და ვიდრე ის თავის პრობლემებში იქნება ჩაფლული, აშშ, როგორც ლაღი მტაცებელი, უკონკურენტოდ ინავარდებს მსოფლიოში.

აშშ-ის მეცადინეობით გაჩენილი „ცხელი“ წერტილები ფართოვდება. ცენტრალურ აზიას, ჩრდილოეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, ევროპას უკრაინაც დაემატა, ანუ რუსეთის საპირისპირო „ცხელი“ წერტილი -— მრავალწლიანი პრობლემა კრემლისთვის.

მაინც რა სიძლიერის უნდა იყოს ქვეყანა, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და მზაკვრულ-ტერორისტული თვალსაზრისით, მსოფლოს ატრიალებს. მასთან შედარებით სხვები უმწიფრად გამოიყურებიან, მაგრამ დიდხანს? თავის გადარჩენის სურვილი მძლავრობს მათში და არა ის, რაც ამერიკას სურს — იყოს მორჩილი, თუ სიცოცხლე უნდა. დამონებული ცხოვრება მიუღებელია რუსეთის, ჩინეთის, ირანის, ზოგიერთი სხვისთვის და რახან ასეა, ისინი დასავლეთისგან გარიყული არიან, მათ ირგვლივ სამხედრო სარტყელი იქმნება, მასთან ერთად — მტრის ხატი.

ამერიკა-ევროპა-ნატომ ბოლო ორი წელი ინტენსიურად იმუშავეს რუსეთისგან მტრის იმიჯის შესაქმნელად, მისთვის აგრესორის ნიღბის ჩამოსაფარებლად. აშშ-მა მძიმე სამხედრო ტექნიკა გადაისროლა აღმოსავლეთ ევროპაში რუსული აგრესიის შესაკავებლად, მას ჯარიც მიაყოლა. და იმის ნაცვლად, რომ ყურადღება ტერორიზმზე გადაეტანა, უკრაინის „გადემოკრატებას“ მიჰყო ხელი.

შედეგი? ერთ დროს წარმატებული უკრაინის გაპარტახება, უკრაინელთა რუსეთზე გადაკიდება, ომი, ფაშიზმის აღორძინება. ქვეყანა, რომელიც საკუთარი საზღვრებიდან ათასობით კილომეტრის დაშორებაზე ისეთს აკეთებს, რასაც უკრაინა ჰქვია, მაგარია. მაგრამ მაგარია საკუთარი ჰეგემონიზმისთვის. მსოფლიო კეთილდღეობისთვის? — საშინელება. ვინ იცის, კიდევ სად და რამდენ „ცხელ“ წერტილს, ქაოსს შექმნის პირველობისთვის მებრძოლი!

ბელგიაში გლოვაა. ევროკავშირის კომისარ მოგერინის ცრემლი ჩამოუგორდა. პარიზმა და სხვა ქალაქებმა საკუთარი ღირსშესანიშნაობები ბელგიის დროშის ფერებში „შეღებეს“. ისე როგორც პარიზში, ბრიუსელშიც გაისმა — „მე, ბრიუსელი ვარ“. ისე, როგორც საფრანგეთის, ვერც ბელგიის მთავრობამ ვერ გამოიცნო მოსალოდნელი ტერაქტი. ისიც უსუსური გამოდგა. „ისლამური სახელმწიფო“ კი ახალ ტერაქტებს გეგმავს — თანაც მუქარით.

გვეშველება რამე? ალბათ არა, ვინაიდან ტერორიზმთან ბრძოლა ყველას მობილიზაციას მოითხოვს, ორმაგი სტანდარტის უარყოფას, „შენი“ და „სხვისი“ ტერორისტებად დაყოფის უარყოფას, თანმიმდევრულ პოლიტიკას. ამ მხრივ რუსეთი სამაგალითოა, ამიტომაც ჰყავს მას მოწინააღმდეგები ამერიკა-ევროპის სახით. ამიტომაც უწოდებენ მას აგრესორს სირიასთან მიმართებაში.

ტერორიზმთან ბრძოლას ერთობა სჭირდება, მაგრამ ამერიკა-ევროპა რუსეთთან, ირანთან, ჩინეთთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მომართული არ არის. მას პოლიტიკა ჩრდილავს და, რახან ასეა, წინ არაერთი ტერორისტული აქტი გველოდება, შემდეგ „თვითგვემა“ და „გლოვა“ დასავლელ პოლიტიკოსთა. ისინი როგორმე გადაიტანენ ამ ტრაგედიას. ბრალი იმათი, ვინც ხელისუფალთა ორმაგ პოლიტიკურ სტანდარტს შეეწირა და უდროოდ, ძალით განარიდეს ამ წუთისოფელს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ნუთუ ეს მართალია?!

„მედიატორი“ პროკურატურას მიმართავს

პრემიერის, მინისტრებისა და დეპუტატების მოსყიდვასა და კორუფციულ სქემებში შესაძლო მონაწილეობის გამოძიების მოთხოვნით არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პროკურატურას მიმართეს. მათი ინფორმაციით, გიორგი კვირიკაშვილს, დიმიტრი ქუმსიშვილს, სოზარ სუბარს და პარლამენტის დეპუტატ შალვა კიკნაველიძეს „ქართუ ბანკში“ რამდენიმეათასიანი ვალი აქვთ და მის დასაფარად წლიურად დეკლარირებულ შემოსავალზე მეტ თანხას იხდიან. ოპოზიცია და მესამე სექტორის წარმომადგენლები პროკურატურას თანამდებობის პირების შემოსავლებით დაიტერესებას და საქმეზე გამოძიების დაწყებას სთხოვენ.

„ირკვევა, რომ კვირიკაშვილმა დეკლარირებულ შემოსავალზე 4-ჯერ მეტი გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს ერთ წელიწადში. ვგულისხმობ 109 ათას დოლარს, რომელიც 250 ათას დოლარზე მეტია და მან ეს ერთ წელში დაფარა, როცა შემოსავალი ჰქონდა 83 ათასი ლარი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ კორუფციასთან“, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია მონიტორინგის ცენტრ მედიატორის დამფუძნებელმა ლევან ხაბეიშვილმა.

◎ სად ლუგარის ლაბორატორია და სად – ზიკას ვირუსი!

რუსებმა ზიკას ვირუსის გადამტან „კრასნოდარელ“ კოღოს მოუარონ

რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია რუსეთის თავის ტკივილი არაერთხელ გამხდარა. ამჯერად რუსული მხარის არაპირდაპირი ბრალდება სწორედ ამ ლაბორატორიას შეეხო და რუსებმა უმალ დაასკვნეს, რომ „ზიკას“ ვირუსის შექმნა თურმე საქართველოშიც შესაძლებელია.



რუსული გამოცემა „Независимое военное обозрение“ საქართველოში არსებული ლუგარის ლაბორატორიის შესახებ წერს და პარალელს ავლებს იმ ფაქტთან, რომ დაავადება „ზიკას“ ეპიდემიის გამავრცელებელი კოღო ბოლო წლების განმავლობაში პირველად სწორედ საქართველოს შავი ზღვისპირეთში შენიშნეს.

გამოცემის ცნობითვე, „ზიკას“ ვირუსი ხელოვნურადაა გამოყვანილი. უფრო მეტიც, „დღეს ყველას პირზე აკერია „ზიკას ციებ-ცხელების“ ეპიდემია, რომლის ვირუსი ჯერ კიდევ 1947 წელს იქნა გამოყვანილი. 60 წლის განმავლობაში აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ ავადმყოფობის მხოლოდ 15 შემთხვევა დაფიქსირდა, ბოლო ხანებში კი „ზიკას ეპიდემიამ“ სამხრეთ ამერიკაში იფეთქა“, - იუწყება გამოცემა.

ზიკას ვირუსთან დაკავშირებით ნიშნადობლივია რუსეთის ყოფილი მთავარი სანიტარიული ექიმის, „როსპოტრებნადზორის“ ექს-ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს ინტერვიუ ბრიტანულ „ბი-ბი-სი“-სთან მიმდინარე წლის 15 თებერვალს, რომელშიც ამბობს, რომ რუსმა ეპიდემიოლოგებმა ჯერ კიდევ 2012 წელს აფხაზეთის სანაპიროზე დააფიქსირეს ზიკას ციებ-ცხელების გამომწვევი ვირუსის გადამტანი კოღოს არსებობა. ონიშჩენკო ამას ისევ და ისევ ლუგარის ლაბორატორიას უკავშირებს და ამბობს, რომ აფხაზეთის სანაპიროდან 100 კმ-ის მოშორებით, სადაც დღეს ეს კოღო ბინადრობს, აშშ-ის არმიის სამხედრო მიკრობიოლოგიური ლაბორატორია მდებარეობს.

„საკვირველია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ამერიკელი სამხედრო მიკრობიოლოგები ჰუმანიტარებად გადაიქცნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ დაიცვან ქართველი ბავშვები წითელასაგან. პენტაგონს თავისი სამხედრო ბიოლოგიური ბაზა საქართველოში ამ მიზნით ნამდვილად არ შეუქმნია“, – მიიჩნევს მდიდარი ფანტაზიის მქონე გენადი ონიშჩენკო და ასკვნის, რომ ამერიკელები „ხელოვნურად ერევიან“ ნორმალურ ბუნებრივ ეპიდემიოლოგიურ პროცესებში.

ეს გენადი ონიშჩენკოს პირველი თავდასხმა არ არის აღნიშნულ ლაბორატორიაზე. For.ge ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინაც წერდა, რომ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიამ რუსებს მოსვენება დაუკარგა და მათი მთავარი სანიტარი რუსეთის სამხრეთ რეგიონებში ღორის ჭირის გავრცელებას სწორედ საქართველოში არსებულ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიას უკავშირებდა. იმ პერიოდში ქართული მხარე ეპატიჟებოდა რუს მეცნიერებსა და ექსპერტებს ლუგარის ლაბორატორიაში, რათა ისინი გასცნობოდნენ მასში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობას და, სურვილის შემთხვევაში, ჩართულიყვნენ კიდეც ერთობლივ პროექტებში, სადაც დაავადებებს, ინფექციებს იკვლევდნენ და ამ ლაბორატორიის მაღალი დონით კმაყოფილებას არც იქ მისული რუსი მეცნიერები მალავდნენ.

ამის საპირისპიროდ, აფხაზეთის ბუნებრივ მღვიმეში მოწყობილი ეშერის ლაბორატორია დღემდე ქართველებისთვის ბურუსით მოცულია. არადა, აქ მიწის ქვეშ რამდენიმე დონეა და მეორე დონემდე ჩასვლა მხოლოდ ერთეულ პირებს შეუძლიათ, ხოლო მესამე დონემდე ვისაც ჩაესვლება, ასეთი ხალხი იშვიათია და იქ მხოლოდ რუსი მეცნიერ-მუშაკები და სამხედროები მუშაობენ. ეჭვების მიუხედავად, ეშერის ლაბორატორიაში ქართველი მეცნიერები არასდროს შეუშვიათ. ქართველი ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთი იქიდან ნახევარ ევროპას, აფრიკას და ახლო აღმოსავლეთს აკონტროლებდა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ლუგარის ლაბორატორიასთან „ზიკას“ ვირუსის დაკავშირების თეზა რუსების მხრიდან არახალია. მთავარი საფრთხეა ის, რომ ლუგარის ლაბორატორია რუსეთს თავის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში აქვს დაფიქსირებული, როგორც მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ყველაზე საშიში კერა. მართალია, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში უშუალოდ ლუგარის ლაბორატორია არ არის მოხსენიებული, მაგრამ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში არსებული ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელ ელემენტებზეა საუბარი და, რა თქმა უნდა, ესაა მინიშნება საქართველოზე და უშუალოდ ლუგარის ლაბორატორიაზე, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვაგან არსად ანალოგიური ტიპის ლაბორატორია არ არის აღრიცხული.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში მუშაობენ ნახევარი მსოფლიოს წარმომადგენლები და იქ სახიფათო არაფერი ხდება. ამიტომ ზიკას ვირუსის ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირება მხოლოდ ამ ლაბორატორიის საწინააღმდეგო კამპანიაა რუსების მხრიდან, რომლის უკანაც ამერიკელის სახელი რიჩარდ ლუგარია. სწორედ ამ სახელმა დააფრთხო რუსები ისე, რომ დაავიწყდათ არა მარტო კრასნოდარში, არამედ აფხაზეთშიც ზიკას ვირუსის გადამტანი კოღოების არსებობა.

– ჯერ ერთი, არ გვაქვს ჩვენ ისეთი პირობები, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ასეთი რამ გავაკეთოთ და მეორე, იქ იმდენი ხალხი მუშაობს იმდენი საერთაშორისო ორგანიზაციიდან, რომ ასეთი რამ გამორიცხულია. ჩვენ ვეპატიჟებით რუსებსაც, ჩამოვიდნენ და ნახონ, რას ვაკეთებთ. ის, რომ „ზიკას“ ეპიდემიის გამავრცელებელი კოღო ბოლო წლების განმავლობაში პირველად სწორედ საქართველოს შავი ზღვისპირეთში შენიშნეს, ადასტურებს იმას, რომ ჩვენი სამსახურები კარგად მუშაობენ და ვიცით, სად რომელი კოღოა. ისე, რუსებმა თავიანთ კრასნოდარის მხარეში აღმოჩენილ კოღოს მოუარონ, რადგან ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო იქაც ჰყავთ. ჯერ ერთი, თვითონ რუსებს ეგ კოღო აფხაზეთშიც ჰყავთ ნაპოვნი და, თუ ეს კოღო არის აფხაზეთში ან კრასნოდარის მხარეში, ცხადია, ჩვენთანაც იქნება, რადგან შავი ზღვისპირეთი ერთია. ამიტომ მსგავს არასერიოზულ ლაპარაკს და აბსურდულ ბრალდებებს თავი დაანებონ, – აღნიშნა პაატა იმნაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ ანესთეზიის ისტორია

კეჭით დარტყმიდან კურარემდე

ტკივილის შესწავლისა და მისი „მორჯულების“ ისტორია იმდენივე ხნისაა, რამდენსაც თავად ქირურგია ითვლის.

მანდრაგორა, ბელადონა, ოპიუმი, ყინულითა და თოვლით გაყინვა, ნერვულ ღეროთა და კისრის სისხლძარღვთა გადაჭერა – ეს და კიდევ მრავალი სხვა ხერხი ძველი დროიდან მოყოლებული ტკივილის გასაყუჩებლად გამოიყენებოდა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სასურველი ეფექტი მაინც არ მოყვებოდა, თანაც სიცოცხლისთვის სახიფათო იყო. ამასთან, იმის გახსენებაც შეიძლება, რომ ზოგჯერ ისეთ რადიკალურ ხერხსაც მიმართავდნენ, როგორიცაა პაციენტის „გათიშვა“... თავში კეტის ჩარტყმით (!). არადა, ყველა ამ მეთოდს მაინც იყენებდნენ, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო: წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტები ტკივილის შოკისგან იღუპებოდნენ.

ტკივილის დაძლევის რეალური წანამძღვრები მხოლოდ მე-18 საუკუნის მიწურულს, სუფთა ჟანგბადისა და აზოტის ზეჟანგის მიღების შემდეგ გაჩნდა. ტკივილზე გამარჯვება ასევე შესაძლებელი გახდა 1818 წელს ინგლისელი მეცნიერის **მაიკლ ფარადეის** მიერ დიეთილის ეთერის ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლის შემდეგ. მეცნიერულად დასაბუთებული ტკივილგაყუჩება მედიცინაში მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა ხანებში შემოვიდა. მანამდე კი, პაციენტის ტკივილის შოკისგან დაღუპვისგან გადასარჩენად ქირურგები ოპერაციის დროის მაქსიმალურად შემცირებას ცდილობდნენ. მაგალითად, ფრანგმა ექიმმა **ლარეიმ** ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ ერთ ღამეში 200 ამპუტაცია (!) ჩაატარა.

ეთერული ნარკოზის პირველი საჯარო დემონსტრირება ჰარვარდის უნივერსიტეტში მოეწყო და იგი კბილის ექიმმა **უილიამ მორტონმა** ჩაატარა. მან ეთერით დაძინებულ პაციენტს ყბის ქვედა ნაწილში სიმსივნე ამოკვეთა... სრულ სიჩუმეში, რამაც საოპერაციოში წივილ-კივილს შეჩვეულ მედიკოსებზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სავსებით სამართლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არც ერთი ახალი ამბავი დედამიწის ზურგზე ისეთი სიჩქარით არ გავრცელებულა, როგორც ცნობა ახალი გამაყუჩებელი საშუალების შესახებ, რის შემდეგ ტკივილგაყუჩების ყველა სხვა ხერხის გამოყენებაზე ექიმებმა ხელი აიღეს. **მას შემდეგ 1846 წლის 16 ოქტომბერი თანამედროვე ანესთეზიოლოგიის დაბადების დღედ ითვლება.**

1847 წელს ინგლისელმა **ჯეიმს სიმპსონმა** ნარკოტიკულ ტკივილგამაყუჩებლად პირველად გამოიყენა ქლოროფორმი, რომელიც უფრო ეფექტიანიცაა და, ეთერთან შედარებით, ნაკლებად აალებადი. იგი ინგლისის დედოფალ ვიქტორიას მერვე შვილის მშობიაროობის დროსაც კი გამოიყენეს.

თუმცა დროთა განმავლობაში, ქლოროფორმული ნარკოზის ტოქსიკურობის გამო, მასზე უარი თქვეს. 1913 წელს ნარკოზისთვის პირველად გამოიყენეს ბარბიტურატები, ანესთეზიოლოგიაში ახალი ეპოქა კი კურარეს ბუნებრივი პრეპარატებისა და მათი სინთეტიკური ანალოგების გამოყენებამ გახსნა, რომლებიც ჩონჩხის კუნთებს ადუნებს. მიორელაქსანტების წყალობით, ნარკოზი უფრო სრულყოფილი და უსაფრთხო გახდა.

ანესთეზიოლოგია მეცნიერულად დასაბუთებულ დისციპლინად მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აღიარეს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს
ა უ ქ ც ი ო ნ ს
მის ბალანსზე რიცხული 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით
დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240–233.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს
ა უ ქ ც ი ო ნ ს
მის საკუთრებაში არსებული, დუშეთის რაიონში მდებარე, 10 ერთეული მიწის ნაკვეთის გაყიდვის მიზნით
დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240–233.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს
ა უ ქ ც ი ო ნ ს
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთის დასასვენებელი სახლის (უძრავ-მოძრავი ქონების) გაყიდვის მიზნით
დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240–233.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს
ა უ ქ ც ი ო ნ ს
მის ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით
დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილურის 577 240–233.

დიდგორის ბრძოლა

ძველი ისტორიკოსების (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მატთეოს ურჰაეცი, ალ-ფარიკი) მოწმობით, განდევნილმა თურქ-სელჩუკებმა და თბილისის, დმანისისა და განძის მმართველთა წარმომადგენლებმა მუსლიმ მფლობელებს შორის დაიწყეს დახმარების ძებნა. ისინი, პირველ რიგში, სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებსაც ეახლნენ. ალ-ფარიკის მიხედვით, თბილისის მმართველობის წარმომადგენლებმა 1121 წელს თხოვნით მიმართეს მარდინისა და მაიაფარიკინის პატრონს ნეჯმ-ად-დინ ილღაზის, რათა მოსულიყო და ქალაქს დაპატრონებოდა. ილღაზის დიდძალი ლაშქარი შეუკრებია და თბილისისკენ წამოსულა. ამ დროისათვის თბილისში ქრისტიანული (ძირითადად ქართული, ნაწილობრივ სომხური) მოსახლეობის ძლიერი ფენა იყო. არც ის უნდა უგულვებელვყოთ, რომ თბილისში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო ებრაული მოსახლეობაც. მუსლიმანურ მოსახლეობას რომ მნიშვნელოვნად ჭარბობდა ქრისტიანული მოსახლეობა, იქიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების უმალ სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილისაგან მოითხოვა, არ შეევიწროებინათ მუსლიმანები. საერთოდ, ყველა ერის მოსახლეობას, რომელიც თბილისელად, ქალაქის მკვიდრად ითვლებოდა, ერთი ინტერესები ჰქონდა.

ასე რომ, დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის.

დახმარების საძებნელად დაძრული თურქ-სელჩუკები და განძელ-თბილელ-დმანელნი, პირველ რიგში, სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებს მიმართეს. მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წწ.). მაჰმუდ მუჰამედის ძე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თბილისელთა თხოვნას. მან მიმართა მუსლიმანებს „ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს“ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, სომეხი მატთეოს ურჰაეცის, არაბი ისტორიკოსების იბნ ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის ცნობათა შეჯერების შედეგად დგინდება კოალიციური ლაშქრის მეთაურები:

ნეჯმ ად-დინ ილღაზი – ბაღდადის გამგებელი, ციხესიმაგრე მარდინის, მაიაფარიკინისა და ალეპოს მფლობელი.

დურბეიზ (დუბეის) სადაყას ძე – არაბეთის მეფე.

თოღრულ მოჰამედის ძე – ყაზვინის, ზენჯანის, გილანის, ახანისა და განძის გამგებელი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულთანიც ყოფილა.

თუღან არსლან კუზიანი – თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი.

განძის ათაბაგი, რომელიც სულთნის ბრძანებით, „მისითა ძალითა“ გამოსულა. როგორც მიიჩნევენ, იგი განძის იმ დროის მფლობელის თოღრულ მოჰამედის ძის ათაბაგი **ქენ-თოღდი** უნდა იყოს.

კოალიციური ლაშქრის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს **„ყოველთა სომხეთისა ამირათა“.** ესენი არიან სომხეთის ტერიტორიის ცალკეული გამგებლები – ამირები, რომლებიც სულთნის ბრძანებით ლაშქრობენ საქართველოს წინააღმდეგ.

მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მტრის მოლაშქრენი „შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღჳსა, რომლითა აღივსო ქუეყანა“.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ავტორთა ციფრობრივი მონაცემები გაზვიადებული ჩანს. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300 000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით დავით აღმაშენებელი 80 000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებულია. უფრო დასაჯერებელია მატთეოს ურჰაეცის ცნობა, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებელს ბრძოლის ველზე გამოუყვანია 55 600 მოლაშქრე. აქედან – 40 000 ქართველი, 15 ათასი ყივჩაყი, 500 ალანი, 100 ევროპელი მეომარი. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა (ორ მესამედზე მეტი) ქართველია. შემთხვევითი არ არის, რომ გადამწყვეტ მომენტში ქართული ლაშქრის ძირითად ძალას ქართველები შეადგენდნენ. 500 ალანი დაქირავებული მოლაშქრე ანუ „როქის სპაა“. ლაშქარში მყოფი „ფრანგნი“ (ევროპელი რაინდები), როგორც ჩანს, ჯვაროსნული ომების დროს სხვადასხვა გზით საქართველოში მოხვედრილი ევროპელები იყვნენ.



1121 წლის 12 აგვისტო...



რევინ მეტრეველი

შვიდ საუკუნედ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

მტერი შემოვიდა „თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“. თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად განპირობებული იყო იმით, რომ აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისზე მცხეთის შემოვლით.

საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განალაგა. დიდგორსა და მანგლისისკენ მიმავალი გზა ნიჩბისის ხევს მიჰყვება. დავით აღმაშენებლის ლაშქარმა ორ მთას შუა დაიბანაკა.

დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა.

ფრანგი გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: **„... მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“.**

შეტევა ქართველ მოლაშქრეებს დაუწყიათ. არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ლაშქრობის დაწყების შესახებ: **„ორივე ლაშქარი საბრძოლველად მოემზადა. წინ გამოეყო ორასი ყივჩაყი მეომარი. მუსლიმებმა იფიქრეს დასანებებლად მოდიანო და არავითარი საწინააღმდეგო ზომები არ მიიღეს. წინა მებრძოლებმა ისრები დაუშინეს მუსლიმებს. მუსლიმთა რიგები შეირყა, დაბნეულობამ იჩინა თავი. შორსმყოფებმა ეს დაბნეულობა-არეულობა რომ იხილეს, იფიქრეს უკან დახევა იწყებაო და თავადაც გაიქცნენ. ჯარი უწესრიგოდ იხევდა უკან და ერთმანეთისთვის დიდი ვნება მოჰქონდათ. ბევრი ამ ჭყლეტვაში დაიღუპა. ქართველები დაედევნენ და ათი ფარსაგის (დაახლოებით 70 კილომეტრი, – რ. მ.) მანძილზე სდიეს. ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მტერს. უმრავლესობა დახოცეს. 4 ათასი კი ტყვედ ჩაიგდეს“.**

არაბი იბნ ალა-ასირისა და ფრანგი გოტიეს ცნობები 200 მეომრის დაწინაურებისა და მათგან ბრძოლის დაწყების შესახებ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა გოტიე ამ მეომრებს ფრანგებად (ჯვაროსნებად) მიიჩნევს, ხოლო იბნ ალა-ასირი – ყივჩაყებად.

დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მართლაც გამოუყენებია ეს ტაქტიკური ხერხი. საქართველოს მეფის ამ ჩანაფიქრს ყურადღება მიაქციეს სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევარებმა და ამგვარი ნაბიჯი ბრძოლისას იმ ეფექტურ ნაბიჯად მიიჩნიეს, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა წარმატებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის მიერ ღრმად ჩაფიქრებული ეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის წარმართვისა და შედეგისათვის, ამასთან დიდ წვრთნასთან ერთად რისკსა და თავგანწირვასაც მოითხოვდა, ძნელად დასაჯერებელია ყივჩაყებისათვის ან ფრანგებისათვის (ჯვაროსნებისათვის) მიენდოთ.

როგორც დასტურდება, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა მის რიგებში. მაშინ საქართველოს ლაშქარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია. „მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი, და... ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო“. დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალას მეფე ედგა სათავეში, ხოლო ლაშქრის ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და მთის ძირას დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია. მატთეოს ურჰაეცი ხატოვნად გადმოგვცემს ბრძოლის მიმდინარეობას: **„იქმნა სასტიკი ბრძოლა ორი მთის შორის, ისე რომ, ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთები იძახოდნენო“.**

პირველი შებრძოლებისთანავე მტრის ბანაკი შეირყა, აიყარა და გაიქცა. ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს მატთეოს ურჰაეციც ადასტურებს. სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ“. თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის მწარე მარცხს ვერც მუსლიმანი ისტორიკოსები ფარავენ. ალ-ფარიკი აღნიშნავს, რომ „მოიკლა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54

საქართველოებული წინაპარი – 850

მუსლიმანთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენო“. იბნ ალ-ასირის ცნობით, „მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე“. ილღაზი, დაჰკარგა რა მთელი ლაშქარი, თავში დაჭრილი, უიარაღო და დამშეული დაბრუნდა შინ.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რაც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა. დიდძალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ ქართველებმა.

ამგვარად, ქართველმა მოლაშქრეებმა, დავით აღმაშენებელმა, 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმურ კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს გამარჯვება ძალუმად ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს – მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. დიდგორთან გამარჯვებას ფართო მასშტაბის საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მემატიანეებმა ამ გამარჯვებას „ძლევაჲ საკვირველი“ უწოდეს.

თბილისის შემოერთება

ჯაფარიანთა საგვარეულოს გადაშენების შემდეგ (უკანასკნელი ჯაფარიდი ამირა 1082 წელს გარდაიცვალა), ალ-ფარიკის მიხედვით, ორმოცი წლის განმავლობაში თბილისში „ძალაუფლება მისი ხალხის ხელში იყო, და ყოველ თვეს განაგებდა ერთი მათგანი“. თბილისის გამგებლობის „ხალხის ხელში გადასვლა“ ქალაქის თვითმმართველობის ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაზრდას ნიშნავდა.

შუა საუკუნეების თბილისში საქალაქო თვითმმართველობის საბჭოსმაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ „ქალაქის ბერებს“ ეძახდნენ.

არაბი ალ-ფარიკის ცნობებზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება, რომ თბილისში არსებობდა დასავლეთ ევროპის ქალაქების კომუნისდაგვარი წყობილება, როცა ქალაქს მართავდა „ქალაქის საბჭო“. ასეთი „საბჭოს“ წევრნი უნდა ყოფილიყვნენ ის „ქალაქის ბერები“, რომელთაც იხსენიებს მატიანე და, შესაძლებელია, საბჭოს სათავეში მდგომი პირები იყოს ხალხი, რომელთა შესახებ ალ-ფარიკი ამბობს, „რიგრიგობით ეჭირათ თითო თვე ხელში ქალაქ თბილისის გამგებლობაო“.

ქართული და უცხოური წყაროების განხილვა-შეჯერების საფუძველზე ზუსტდება, რომ „ქალაქის მოხუცებულნი“ ანუ „ქალაქის ბერნი“ ქალაქის უხუცესებს, თავკაცებს, მამასახლისებს, საქალაქო საქმეთა გამგებელთ, „ქალაქის უფროსებს“, საქალაქო საბჭოს წევრებს ეწოდებოდა.

„მატიანე ქართლისა“ ნათლად გვიჩვენებს, რომ „ტფილელნი ბერნი“ ქალაქის მოსახლეობის, მისი ზედაფენის გარკვეული ნაწილია, რომლებიც მეფეს ეახლნენ და თბილისის აღება სთხოვეს. საინტერესოა, რომ ბაგრატ მეოთხეს, რომელიც „წარემართა ტფილისად“, წინ შეეგებნენ „ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი... და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული...“ ამ ცნობიდან სრულიად აშკარაა, რომ „ქალაქის ბერნი“ პრივილეგირებული, მაღალი საქალაქო ფენების წარმომადგენლები არიან, ისინი „დარბაზის მოხელეებზე“ ანუ „დარბაზის ყმებზე“ მაღლა იდგნენ.

„ტფილელნი ბერნი“ („ქალაქის ბერნი“) თავისი მნიშვნელობით შეესატყვისებოდა „თბილელ უხუცეს“ („ქალაქის უხუცესთ“) და ამ ტერმინით, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო თვითმმართველობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი აღინიშნებოდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული ტერმინი „ქალაქის კრებული“ „ქალაქის ბერთა“ საბჭოს აღმნიშვნელი უნდა იყოს.

დიდგორის ბრძოლის ძლევამოსილად გადახდის შემდგომ დავით აღმაშენებელმა თბილისს მიაშურა და **„მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ მონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“**. ეს მოხდა 1122 წელს („ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაორი“).

როგორც ჩანს, თბილისის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, ცეცხლითა და მახვილით შესულიყო ქალაქში. დავით აღმაშენებელმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინა – ბევრი დახოცა, ხუთასი კაცი წვეტიან სარზე ჩამოაცვა და წამებით მოკლა.

ქართველთა ტოლერანტობა

დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების შემდეგ დედაქალაქი კვლავ აქ გადმოიტანა. მას მუსლიმური მოსახლეობის, საერთოდ, სხვა ეროვნების ხალხისა და სხვა სარწმუნოების აღმსარებლების მართ შემწყნარებლური პოლიტიკა გაუტარებია.


ძველი თბილისი

უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულშემწყნარებლობის პრინციპს.

საქართველოში მაჰმადიანთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობა აქვს მოცემული ალ-ფარიკს. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა, მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმთა რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ. უფრო მეტიც, გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა მათ. ასე მაგალითად, ... ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან (დავით აღმაშენებელმა, – **რ.მ.**) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტანის სახელით: და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა, აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტნისათვის და არა მისთვის (დავით აღმაშენებლისთვის, – **რ. მ.**). იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს (ალ-ფარიკი).

მუსლიმთა უფლებები პრივილეგირებულ მდგომარეობაშია ეკონომიკურ და ფინანსურ დარგებშიც. დავით აღმაშენებელმა ისინი ერთი წლით გაათავისუფლა სხვადასხვა გადასახადებისაგან. სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ ყოველწლიურად გადასახადი თითოეული მუსლიმანისათვის სამ დინარს შეადგენდა, მაშინ როცა თვით ქართველები უფრო მეტს იხდიდნენ. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამგვარი დამოკიდებულება მაჰმადიანი მოსახლეობისადმი დაცული იყო დავით აღმაშენებლის შემდგომ დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) დროსაც (ალ-ფარიკი). ამდენად, მუსლიმანთათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებები სტაბილურ სამართლებრივ ხასიათს ატარებდა.

არაბი ისტორიკოსის იბნ-ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავის შვილთან, დემეტრესთან ერთად პარასკევებით მეჩეთში დადიოდა, ლოცვას ესწრებოდა და წასვლისას დიდძალ ფულს სწირავდა. მუჰამედ ალ-ჰამავის დაცული აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოსდგაო.

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მეფემ ძველი ციხეგორი აღადგინა, დააარსა ქალაქი და შიგ სომხები ჩაასახლა, რომელთათვისაც პრივილეგირებული პირობები შეიქმნა.

უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გათანაბრებული ებრაელებიც.

ამგვარი რჯულშემწყნარებლობითი პრინციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის დროიდან (XI საუკუნის მიწურული, XII საუკუნის პირველი მეოთხედი) დაინერგა, დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. არაქრისტიანი მოსახლეობის მფარველობით გამოირჩეოდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე პირველი. ალ-ფარიკი გვარწმუნებს, რომ მან პირადად ნახა მეჩეთში დემეტრე I, რომელმაც ლოცვის მოსმენის შემდეგ 200 ოქროს დინარი შესწირა.

სახელმწიფოს სიძლიერისათვის სხვა კომპონენტებთან ერთად საჭირო იყო ცხოველი ვაჭრობის განვითარება. ამისთვის, ბუნებრივია, მძლავრი სავაჭრო ფენის არსებობის აუცილებლობა შეიქმნა. ვაჭრები საქართველოში ძირითადად სომხები, მუსლიმები და ებრაელები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათი შეუწყნარებლობა სხვა რჯულზე ყოფნის გამო ქვეყნისათვის გაუმართლებლად უსარგებლო იქნებოდა. განვითარებული ვაჭრობა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა, და ვაჭართა ფენასთან სამეფო ხელისუფლების ცუდი დამოკიდებულება მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალთა წისქვილზე დაასხამდა წყალს. საქართველო მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და მისთვის სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები უცხო ქვეშევრდომების მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელი იყო.

შემთხვევითი არ იყო ის, რომ გზებზე საგანგებო სახლები აშენდა, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამის გარდა დავით აღმაშენებელმა ბევრი ხიდი ააგო „მდინარეთა სასტიკთა ზედა... გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყენა“. ეს ყველაფერი შეუფერხებელი მიმოსვლისათვის კეთდებოდა. ითვალისწინებდა რა მუსლიმურ სამყაროსთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის საქმეს, საქართველოს სამეფო კარმა XII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბულწარწერიანი მონეტები მოჭრა, რომელთაც შეუფერხებელი გასავალი ექნებოდა აღმოსავლეთის სამყაროში.

შირვანისა და ანისის გათავისუფლება

1123 წელს თურქთა სულთანმა მაჰმუდმა შირვანზე ილაშქრა და ქ. შამახია აიღო, შირვან-შაჰი შეიპყრო და ელჩის ხელით დავით აღმაშენებელს შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა. შირვანი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. მას დაცვა ესაჭიროებოდა, კადნიერ სულთანს კი სათანადო პასუხის გაცემა. დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ შეკრიბა ორმოცდაათი ათასი მოლაშქრე და საბრძოლველად მოემზადა. შეშინებული სულთანი აიყარა და „ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტნურად“ ითხოვა „გზა სამლტოლვარო“. სულტნის დასახმარებლად მოსული რანის ათაბაგი აღსუნღული მოადგა შამახიას და ბრძოლა გაუმართა ქართველებს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა.

1124 წლის მარტში დავით აღმაშენებელმა დმანისი აიღო. 1124 წლის აპრილში ქართულმა ლაშქარმა დაიკავა შირვანის ციხეები ღასანნი და ხოზოანდი და „მიმდგომი მათი ქვეყანა“, იმავე წლის მაისში სომხეთის ციხეები: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი.

საქართველოს ძლიერი სამეფო დიდგორის ბრძოლისა და შემდგომ მოპოვებული წარმატებების წყალობით იწყებს ბრძოლას სომხეთის ყოფილი ტერიტორიების თურქ-სელჩუკებისაგან გასათავისუფლებლად. 1124 წლის აგვისტოში დავით აღმაშენებელს ეახლნენ „მწიგნობარნი ანელთა თავადთანი“ და სთხოვეს ანისის დაკავება. საქართველოს მეფე ძლევამოსილად შევიდა ანისში, სამოცი წელი ტყვეობაში მყოფი ქალაქი გაათავისუფლა და თავის სამეფოს შემოუერთა. დავითმა ანისის მისგითად ქცეული ტაძარი გაათავისუფლა და ტაძრის ამშენებელი ბერძენთა დედოფლის საფლავს (აქ იყო დედოფალი დაკრძალული) სამჯერ ჩასძახა: „გიხაროდენ, შენ წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელისაგან“.

სომხეთის საკითხის მოგვარების შემდეგ, დავით აღმაშენებელი შირვანს მიუბრუნდა. 1124 წლის შემოდგომაზე ილაშქრა

ანისის ნაქალაქარი

შირვანზე, „აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შირვანი“.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები გაფართოვდა – ნიკოფსიიდან (ადგილი თანამედროვე სოჭსა და ტუაფსეს შორის) დარუბანდის ზღვამდე და ოსეთიდან არეგაწამდე (სამხრეთი სომხეთი). განუზომლად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღტაცებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელმა **„სულტანი დასვა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსნი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“.**

ანონსი

მომავალ ხუთშაბათს: XI-XII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკა, საქალაქო ცხოვრება, საგარეო პოლიტიკა.

„სიმდი“ – ლაკმუსი მტერ-მოყვრის გარჩევაში

გრანდიოზული სკანდალი „ძმებს“ შორის,

ანუ რატომ ამჯობინა ჩრდილოელმა ოსმა სამხრეთელ ოს საქართველო

ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების „რუსთავისა“ და „ბანის“ კონცერტები ვლადიკავკაზში გასულ შაბათ-კვირას კინაღამ ჩაიშალა სკანდალის გამო, რომელიც ცხინვალში აგორდა. ადგილობრივი მედია ხისტი პოლიტიკური განცხადებებით აივსო, სოციალურ ქსელ Facebook-ში კი ოსურ მიწაზე „ქართული ტაშ-ფანდურის“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. საერთაშორისო საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ოსების უმაღლესმა საბჭომ“ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „ანსამბლი „რუსთავი“ საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერ კონცერტს მართავდა იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი სამხრეთ ოსეთში ოსებსა და რუს სამშვიდობოებს ანადგურებდა“ და რომ „ჩრდილოეთ ოსეთში ამ ანსამბლის კონცერტის გამართვა დაღუპულთა სულების შეურაცხყოფაა“.

როგორც რუსული „Росбалт“-ის მიმომხილველი **ანდრეი ნიკოლაევი** აღნიშნავს, „ქართულმა ცეკვამ ისტერიკამდე მიიყვანა ცხინვალი, რომელმაც თავისი ჩრდილოელი მეზობლები და „ძმები“ „ღალატში“ დაადანაშაულა. ამასთან, მისი აზრით, კონცერტების გამართვის მოწინააღმდეგეები „შეეცადნენ, რქებით დაეტაკებინათ რუსეთი და საქართველო“.

კონცერტების გაუქმების მოთხოვნით ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობას ცხინვალში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა მიმართეს. კერძოდ, „სახალხო პარტიამ“ განაცხადა, რომ „ქართულ-ჩრდილოეთ ოსურ ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენები სამხრეთ ოსებს აბსურდის თეატრს აგონებთ“. სხვა ყველაფერთან ერთად, მათ „რუსთავი“ იმაშიც დაადანაშაულეს, რომ იგი „ცდილობს, ძირძველი ოსური ცეკვები „სიმდი“ და „ჰონგაე“ ქართულ ეროვნულ ცეკვებად წარმოაჩინოს“.

„ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ კულტურის სფეროს სამხრეთ ოსი მოღვაწეები, პოლიტიკოსები, დეპუტატები, თუმცა მათი „ძმები“ ჩრდილოეთ ოსეთიდან ამას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და, მართლაც რომ, სანახაობრივი კონცერტების ბილეთებში 1500-დან 2500-მდე რუბლს იხდიდნენ. ამასთან, ისინი ცდილობდნენ, მიეხვედრებინათ სამხრეთელი ოსები, რომ „ხელოვნება პოლიტიკის მიღმაა“ და რომ, საერთოდაც, ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, რომლებთანაც მათ ეროვნულ ნიადაგზე არასოდეს ჰქონიათ არანაირი უსიამოვნება. ჩრდილოეთ ოსები ასევე თვლიან, რომ მათი „სამხრეთელი ძმები“ ადეკვატურად უნდა აღიქვამდნენ ისეთ ცნებას, როგორიცაა „კავკასიური ტოლერანტობა“ და არ უნდა ჩაერიონ რუსეთის შიდა საქმეებში, რადგან ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაშია, რომელიც ცდილობს, მოაწესრიგოს ურთიერთობა საქართველოსთან, მათ შორის – რეგულარული კულტურული გაცვლების გზით. ცხინვალში კი ამის საპასუხოდ აცხადებენ, რომ ქართული ტაშ-ფანდური ოსურ მიწაზე სხვა არაფერია, თუ არა „იდეოლოგიური დივერსია“, – წერს ამასთან დაკავშირებით ანდრეი ნიკოლაევი.

სამხრეთელ და ჩრდილოელ ოსებს შორის ვითარება იმდენად დაიძაბა, რეაგირება ორივეს ხელმძღვანელობებს მოუწიათ. ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი სტანისლავ კესაევი „ქართული ანსამბლების კონცერტის ირგვლივ პოლიტიკური თამაშებისა და სკანდალის გაღვივების შეწყვეტისკენ“ მოწოდებით გამოვიდა. „Кавказский узел“-ის ცნობით, მან აღნიშნა, რომ **„ქართული ანსამბლისადმი ხალხის დამოკიდებულების საუკეთესო მაჩვენებელი გაყიდული ბილეთებია“. „თქვენ სადმე ნახეთ ხალხის ბრბო, რომელიც ამ ანსამბლების აფიშებს ხევს?! პირიქით, ხალხი ყიდულობს ბილეთებს და აღშფოთებულია კონცერტის ჩაშლის მცდელობით: ესეც რომ არა, რა ვუყოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც საქართველოში დადიან სამკურნალოდ, მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად, უბრალოდ, ამ ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებასთან საზიარებლად?! ვფიქრობ, ისინი უფრო მაღალი – სახალხო დიპლომატიის დონეზე აცნობიერებენ, რომ კულტურა ცხოვრების ის ნაწილია, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ერთმანეთს უკეთ უგებენ“,** – განაცხადა ვიცე-სპიკერმა.

სიტუაციის განმუხტვა, მართალია, თავისებურად, მაგრამ მაინც სცადა ცხინვალის ლიდერმაც. „ძვირფასი თანამემამულეებისადმი“ მიმართვაში, რომელიც ოსურმა სააგენტო РЕС-მა გამოაქვეყნა, მან განაცხადა: **„ოსური საზოგადოება ჩრდილოეთში და სამხრეთში გაიყო საკითხის მოწინააღმდეგეებად და მომხრეებად, ყოველდღიურად ამ დავაში ახალ-ახალი ძალები ეფლობიან ...ყველაზე უსიამოვნო კი ისაა, რომ ამ დაპირისპირებაში ორივე მხრიდან მონაწილეობენ ოსები, რომელთაც ასე უყვართ სამშობლო, მისი ისტორია, ტრადიციები და ადათები... მაღელვებს, რომ სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებზე საპროტესტო აქციებისადმი ღია მოწოდებები გაისმის, რადგან ეს არანაირად არ უწყობს ხელს გაყოფილი ოსი ხალხის გაერთიანებას და რუსეთის ფედერაციასთან საინტეგრაციო პროცესებს“. ორ ძმას შორის შუღლით ყოველთვის ვიღაც მესამე იგებს და ვინც არ უნდა იყოს ის მესამე, იგი აშკარად არ არის დაინტერესებული, რომ ოსებმა განაგრძონ ცხოვრება და საკუთარი თავის ერთ მთლიან ხალხად აღქმა ერთიანი ისტორიული ბედით, კულტურით და საერთო მომავლით“.** ამასთან, თიბილოვმა აღიარა, რომ ჩრდილოეთ ოსეთს, რომელიც რუსეთის ფედერაციის სუბიექტია, „აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს თავისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების რიგი საკითხები“ და რომ „ქართველი არტისტების მიწვევა ჯდება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების თანდათანობითი აღდგენის, ასევე კავკასიაში რუსეთის წარმოდგენილობის გაძლიერების საერთო სტრატეგიაში“, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ **„... ხალხს, რომელმაც ქართული ფაშიზმის კოშმარი გადაიტანა, ჯერ კიდევ ღია აქვს დანაკარგებისა და შოკისგან მიღებული იარები და ჯერ კიდევ არ არის მზად ქართველი არტისტების კულტურული დემარშისთვის ოსეთში, თუნდაც მის ჩრდილოეთ ნაწილში. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ გაუგებრობები და შუღლი ოს ხალხში. მე მოვუწოდებ ყველა თანამემამულეს, ჩვენი ხალხისთვის ტრადიციულ გამძლეობას მოუხმონ და ნუ მიეცემიან წამიერ ემოციებს. ვიმედოვნებ ასევე, რომ თანდაყოლილი კეთილშობილება დაეხმარებათ ჩრდილოელ მეზობლებს, გაუგონ სამხრეთ ოსების რეაქციას და ამასთანავე, გამიჯნონ სტუმართმოყვარეობა და პოლიტიკური კონიუნქტურა ოს და ქართველ ხალხებს შორის ნდობის აღდგენის ძალზე რთული პროცესისგან“,** – დასძინა მან. (http://cominf.org/node/1166507915).

„მოკლედ, „ძმებს“ შორის გრანდიოზული სკანდალი მოხდა და, როგორც ჩანს, მას გაგრძელება ექნება, რადგან სამხრეთელი ოსები ძალზე ეჭვიანად ეკიდებიან ჩრდილოეთ ოსეთის, ფაქტობრივად კი რუსეთის ურთიერთქმედებას საქართველოსთან. გამოდის, რომ „ერთი ხალხი“ გაყოფილი აღმოჩნდა „მარგინალური“ და „არამარგინალური“ პრინციპით. და საქმე აქ იმდენად ვლადიკავკაზში ქართველი არტისტების ჩასვლა არ არის, რამდენადაც სამხრეთელი ოსების მიერ რაღაც ბნელი დოგმების თავსმოხვევაში, რომელიც უცხოა ჩრდილოელი ოსებისთვის“, – წერს ამასთან დაკავშირებით „Росбалт“-ის მიმომხილველი ანდრეი ნიკოლაევი.

„აქცენტის“ ვებგვერდზე კი ზემოაღნიშნულ სკანდალს ოსი ექსპერტი ჯაბრაილ გაბაჩიევი გამოეხმაურა.

„ერთი ბრძენი პოლიტიკოსი ამბობდა, „მეგობრობა და პარტნიორობა სახელმწიფოებს შორის მუდმივი არაა, მუდმივი მხოლოდ ინტერესები არსებობსო“. დავაზუსტოთ: ჩვენს შემთხვევაში – კეთილმეზობლური ინტერესები, ხოლო მთლიანად კავკასიაში – მეზობლებსშორისი და ეს თეზისი სამხრეთ ოსეთსაც ეხება! თუ დავუშვებთ, რომ ხვალ რუსეთი და საქართველო აღადგენენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, მაშინ სამხრეთ ოსეთის მდგომარეობაც შეიძლება, შეიცვალოს, კარდინალურადაც კი, თუნდაც სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში არ შევიდეს. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება, ითქვას, როგორც არშემდგარი სახელმწიფო და ზედმეტი ტვირთი, იგი რუსეთს არ დასჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო ჩვენს მეზობლად დარჩება, როგორი ურთიერთობაც არ უნდა ააწყოს მან მსოფლიოსთან და რუსეთთან. უნდა გვესმოდეს, რომ მეზობლებს არ ირჩევენ, ეს ჩვენი ხალხების ბედია, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ და შევარჩიოთ კეთილმეზობლობის ფორმულა, თუ მუდმივი მტრობა არ გვსურს. საქართველოსა და რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს – სსრკ-ის დრო დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და ახლა რუსეთი და საქართველო, ჩრდილოეთ ოსეთი და სამხრეთ ოსეთი – სხვადასხვა სახელმწიფოებია. სწორედ ამ მოცემულობიდან უნდა ამოვიდეთ. ავუკრძალოთ ჩვენს მეზობელ ხალხებს ურთიერთობა, კულტურული, სპორტული და სხვა სახის გაცვლები, ვაჭრობა – არაშორსმჭვრეტელურია და ავნებს უპირველესად თავად ოს ხალხს. ყველაფერი ეს პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებს გარეთ უნდა იყოს გატანილი, ეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროა, პიროვნული, ნათესაური ურთიერთობების დონეა... გიყვარდეს ან არ გიყვარდეს რუსეთი და საქართველო – ყველას პირადი საქმეა, მთავარია, არ ავნო!“ – თვლის გაბაჩიევი.

ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დროა, შეწყდეს სამხრეთელი და ჩრდილოეთელი ოსების ინტერესების აღრევა, ვინაიდან ისინი სხვადასხვა სახელმწიფოებს წარმოადგენენ“.

„...უნდა დასრულდეს ჩვენი ხალხების კვება სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისა და პოლიტიკოსების სპეკულაციებით სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ, რომელიც, როგორც წესი, სამხრეთში მორიგი არჩევნების წინ ჩნდება! ჩვენ უკვე ისე „გადავერთიანდით“, რომ სამხრეთ ოსეთი ოსი მოსახლეობისგან დაიცალა, მის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი „იძულებით გადაადგილებულის“ მანტიის ქვეშ სამუდამოდ დასახლდა ჩრდილოეთში. იქ არავინ დარჩა, ვინც საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ააშენებს. ისმის კითხვა: რა საჭირო იყო მაშინ დამოუკიდებლობის გამოცხადება, ადამიანების სიცოცხლის შეწირვა, თუ მიწა, სოფლები სამხრეთ ოსეთში დაცარიელებულია? თუ სამხრეთში სულ 5000-მდე მოსწავლეა დარჩენილი? არ არსებობს მსგავსი რამ, არ არსებობს სამშობლო ხალხის გარეშე! და სადაა ოსეთის სამხრეთის მომავალი?! ვინ ანგრევს ახლა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობას, თუ არა თავად სამხრეთელები?! და ბოლოს, 25-30 ათასი სამხრეთელის ნება ოსეთის გაერთიანების შესახებ ჯერ არ ნიშნავს 760 ათასი ჩრდილოელის ნებას, რომელთაც აზრი ასევე უნდა ვკითხოთ! ჩვენ ხომ თანასწორი ძმები ვართ, რომლებიც სხვადასხვა ბინებში (რესპუბლიკებში) ცხოვრობენ!“, – ამბობს გაბაჩიევი.

იგი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ „აუცილებელია, საკადრისი პატივი მიეგოს ქართული დიასპორის უფლებებს, რომლისთვისაც ჩრდილოეთ ოსეთი სამშობლოა და რომელიც ვლადიკავკაზში იმდენივე ხანია, ცხოვრობს, რამდენიც თავად ოსები“.

„ჩემი აზრით, გონივრული იქნებოდა, აღგვედგინა საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის კულტურისა და ხელოვნების დღეების ჩატარების ტრადიცია. დარწმუნებული ვარ, საქართველოში დიდი სიხარულითა და ნამდვილი კავკასიური სტუმართმოყვარეობით მიიღებდნენ ოს შემსრულებლებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იქ ოსური დიასპორა უფრო მეტ ადამიანს ითვლის, ვიდრე მთელი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა (50 ათასზე მეტი). და რამდენია საქართველოში შერეული ოჯახი, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთიდან „მშვიდობის ელჩებს“ ასევე დიდი სიხარუ-

სამხრეთ ოსეთი ოსი მოსახლეობისგან დაიცალა, მის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი „იძულებით გადაადგილებულის“ მანტიის ქვეშ სამუდამოდ დასახლდა ჩრდილოეთში. იქ არავინ დარჩა, ვინც საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ააშენებს. ისმის კითხვა: რა საჭირო იყო მაშინ დამოუკიდებლობის გამოცხადება, ადამიანების სიცოცხლის შეწირვა, თუ მიწა, სოფლები სამხრეთ ოსეთში დაცარიელებულია? თუ სამხრეთში სულ 5000-მდე მოსწავლეა დარჩენილი? არ არსებობს მსგავსი რამ, არ არსებობს სამშობლო ხალხის გარეშე! და სადაა ოსეთის სამხრეთის მომავალი?! ვინ ანგრევს ახლა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობას, თუ არა თავად სამხრეთელები?! და ბოლოს, 25-30 ათასი სამხრეთელის ნება ოსეთის გაერთიანების შესახებ ჯერ არ ნიშნავს 760 ათასი ჩრდილოელის ნებას, რომელთაც აზრი ასევე უნდა ვკითხოთ!

ლით მიიღებს! ვიცი, ყველა მოხარული იქნება, მოუსმინოს ოსურ სიმღერებს, ნახოს ოსური ცეკვა, ფილმები, ტატამზე შეხვდეს ოს სპორტსმენებს... და ჩვენც — გავატაროთ შვებულება ულამაზეს მზიან აჭარაში, სადაც დასვენება, სხვათა შორის, 2-3-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე თურქეთში, ეგვიპტეში, სოჭში... მხოლოდ 2015 წელს საქართველოში დაისვენა, იმკურნალა, გუდაურში თხილამურებით ისრიალა რუსეთის 800 000-ზე მეტმა მოქალაქემ! კულტურული კავშირების მოწინააღმდეგეებს უნდა ესმოდეთ, რომ სადღეისოდ ასობით ჩვენი თანამემამულე მიდის თბილისში სამკურნალოდ და, სხვათა შორის, სამხრეთელი ოსებისთვის იქ მკურნალობა უფასოა! რუსთავის ავტობაზრობიდან, რომელიც ყველაზე დიდია ამიერკავკასიაში, სამხრეთ ოსეთი 40 000-ზე მეტმა უცხოურმა ავტომობილმა გაიარა, რომელიც სამხრეთ ოსეთის საბაჟოზე გაფორმდა და ახლა მთელს რუსეთში, მათ შორის, ჩრდილოეთ ოსეთში დადის... ჩვენი ცრუპატრიოტები რატომღაც ვერ ხვდებიან, რომ მსგავსი პოზიციით რუსეთის ბიუჯეტსაც აზარალებენ, ტოვებენ რა მას საბაჟო შემოსავლების გარეშე. სად მიდის ფული — სხვა საკითხია და ამაზე ხმას რატომღაც არავინ იღებს, აი ანსამბლ „რუსთავის“ ჩამოსვლაზე კი გადაირივნენ!“, — აღნიშნავს ოსი ექსპერტი.

იგი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ **„უკვე დიდი ხანია, ვლადიკავკაზის ბაზრებზე საქართველოში წარმოებული საქონლით არალეგალური ვაჭრობაა გაჩაღებული და მოგება ჩრდილოეთელი ოსი მომხმარებლებისა და მყიდველების ჯიბეებიდან ბაზრის სპეკულანტების ჯიბეებში მიედინება, თუმცა ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ აყენებს ვაჭრობის ლეგალიზების საკითხს, არადა, ეს ადგილობრივი მომხმარებლებისთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა — ფასები ხელმისაწვდომი გახდებოდა მათთვის“.**

ამ კონტექსტში გაბაჩიევი მკითხველს იმასაც შეახსენებს, რომ **„სავაჭრო ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის დიდი ხანია, აღდგა, ვითარდება და სავაჭრო ბრუნვაც რამდენჯერმე გაიზარდა, ხოლო ეკონომიკური კავშირები 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც არ შეწყვეტილა, რუსეთი იმ დღეებშიც უწყვეტად ამარაგებდა საქართველოს სტრატეგიული საქონლით — ენერგოშემცველებით, ხოლო მოსკოვი, თავის მხრივ, დღესაც სვამს „ბორჯომსა“ და ქართულ ღვინოს“.**

„რატომღაც ჩრდილოეთ ოსურ ხელისუფლებასა და ბიზნეს-საზოგადოებას არ უწარმოებიათ და არ განუვითარებიათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან, რომელსაც შეეძლო, ჩრდილოეთ ოსეთისთვის ევროპული და ახლოაღმოსავლური ბაზრებისკენ ფანჯრად ქცეულიყო. გვქონდა რა დიდი უპირატესობა რუსეთის ჩვენთან მომიჯნავე რეგიონებთან შედარებით, ჩვენ — ოსებმა არ გამოვიყენეთ არსებული საკომუნიკაციო კავშირების შესაძლებლობები, მათ შორის — საქართველოს სამხედრო გზისა და ტრანსკამის, რომელსაც სამხრეთელები აზიან, როგორც ძაღლი თივის ზვინს — არც თავად იყენებენ მის შესაძლებლობებს ეკონომიკისთვის, გზისპირა საცხოვრებელი პუნქტების ყოფა-ცხოვრების დონის ამაღლებისთვის და არც ჩრდილოეთ ოსეთს აძლევენ ტრანსკამის სიკეთეების გამოყენების შესაძლებლობას. არადა, მის მშენებლობაში მათ კაპიკი არ ჩაუდიათ და თითი არ გაუნძრევიათ! ეს მაგისტრალი შენდებოდა რუსების, ქართველების, ოსების და კავკასიის სხვა ხალხების მიერ ჩრდილოეთ ოსეთის სამომავლო კეთილდღეობისთვის, დღეს კი მიტაცებულია სამხრეთის მიერ, ხოლო ქალაქი ცხინვალი ბოლო გაჩერებად იქცა. იქვე დგას დაჟანგული მატარებლები თბილისისკენ დასაძრავად საყვირის ხმის მოლოდინში. აი, ასეთი „პატრონები“ სხედან იქ — „არც თავად ვჭამ, არც სხვას ვაჭმევ“, — აცხადებს ოსი ექსპერტი.

> **ИГИ ИМЕДОВНЕБС, РОМ ЧРДИЛОЕТ ОСЕТИС-АЛАНИИС АХАЛИ МЗАРТВЕЛИ ГИТАРОВИ „ГОЛОС და ГОЛОС ШЕЗЛЕБС ГЛОКАДИС (ТВИТИЗОЛАЦИИС) ГАРЗВЕВАС ДА МИМАРТАВС ТАВИС МЗЕРАС САМХРЕТИТ“.**

„ნიუსპრესი“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ესმა ქირიკაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. №1, სართული 5, ბინა №19 (საკადასტრო კოდი: 26.26.47.056.01.019).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია იჯარის და ქირავნობის უფლებები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17826.85 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 13 აპრილი, 12:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** იმედი გორგილაძე (პ/ნ 61004026015), ქობულეთი, სოფ. სახალვაშო;
ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 13 აპრილის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თენგიზ ასათიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თენგიზ ასათიანი (პ/ნ 60003008309), ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №21, ბინა №21.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №30, ბინა №21 (საკადასტრო კოდი: 03.01.21.001.01.021).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულებები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14553.56 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 13 აპრილი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** ოთარ ასათიანი (პ/ნ 60001086859), ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №21, ბინა №19/ ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №21, ბინა №21.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 13 აპრილის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დედამიწის ზურგზე

ტერორისტებს შეეძლოთ, მომზადებულიყვნენ თავდასხმისათვის ბელგიის პრემიერ-მინისტრზე...

შეტევის ობიექტები შეიძლება ყოფილიყო პრემიერის ოფისი და მისი რეზიდენცია, რომლის გვერდითაც არის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. ორივე შენობის დაგეგმვის სქემები და ფოტოგრაფიები ალმოაჩინეს ტერორისტების კომპიუტერში, რომლებიც ნახეს მათი თავშესაფრის მახლობლად სკარბეკის კომუნაში.

აშშ-ის ადმინისტრაციამ თვითიზოლაციად მიიჩნია რუსეთის გადაწყვეტილება, არ მიიღოს მონაწილეობა სამიტში ბირთვული უშიშროების შესახებ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უარი განმარტეს ამ თემატიკაზე გადაწყვეტილებების არქონით. თეთრი სახლი დარწმუნებულია, რომ ეს მოსკოვისთვის „ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა“.

ნიდერლანდმა ბრიუსელში ტერორისტულ აქტამდე ხუთი დღით ადრე გაფრთხილა ბელგიას გამოკვლევის ფედერალური ბიუროდან მიღებული ცნობები თვითმკვლელების შესახებ

ჰოლანდიელებმა 16 მარტს ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიიღეს მონაცემები ტერორისტებთან კავშირის ეჭვით აფეთქებების შესახებ ძმებ იბრაგიმ და ხალიდ ბაკრაუბისაგან. ერთი დღის დაგვიანებით ნიდერლანდის ხელისუფლებამ აცნობა ამის შესახებ ბელგიის პოლიციელებს. ბელგიის პოლიციის ფედერალური სამსახური უარყოფს, რომ მიიღო რაიმე ინფორმაცია გამოკვლევის ფედერალური ბიუროსგან ძმებ ბაკრაუების შესახებ.

კანადაში ავიაკატასტროფაში დაიღუპა ექს-მინისტრი ცოლთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად

ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი ჟან ლაპიერი დაიღუპა თვითმფრინავში მისი მიწაზე დაშვების დროს კვებეკის აღმოსავლეთ ნაწილში. მასთან ერთად ბორტზე იმყოფებოდნენ მისი ცოლი, ძმები და და. ყველა მათგანი მიფრინავდა მამის დაკრძალვაზე.

აშშ-მა და ევროპამ მოუნოდეს გაეროს უშიშროების საბჭოს, მოახდინოს რეაგირება ირანის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვებაზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა მოუწოდეს გაეროს უშიშროების საბჭოს, მოახდინოს რეაგირება თეიერანის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვებაზე, რაც განახორციელეს რეზოლუციით საწინააღმდეგოდ, რომელიც მიღებული იქნა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

◎ ჭიდაობა

მედალთცვენა რიგაში

ლატვიის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი — ფრეიდენფელდსის მემორიალი, რომელშიც ჩვენმა ფალავნებმა სხვადასხვა სინჯის 22 ჯილდო მოიხვეჭეს: „კლასიკოსებმა“ — 8 (7 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“), „თავისუფლებმა“ კი 14 (6 „ოქრო“ და 4-4 „ვერცხლ-ბრინჯაო“) მედალი მოიპოვეს. ორივე ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილები დაიკავა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამ წონაში ქართული ფინალები გაიმართა: 50 კილოში გიორგი ღონიაშვილმა გიორგი ხაჩიძე დაამარცხა, 84-ში საბა ჩიხრაძემ მექი სიმონიას სძლია, მძიმეში კი ზურაბ ურთაშვილმა ალექსი ჟორჟოლიანს მოუგო. გიორგი გოგშელიძისა და გელა საღირაშვილის შეგირდთაგან, ასევე, პირველ ადგილებზე გავიდნენ რობერტ დინგაშვილი (55), გიორგი პასიკაშვილი (60) და შმაგი თოდუა (66), მეორე იყო ნიკა კენჭაძე (74), ხოლო კახა ირემაძე (55), მაგომედ საიდოვი (66), გიორგი გიორგობიანი (74) და მარად ვანაძე (96) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზაზა სილაგაძის შეგირდები შეჯიბრებაში ბალტიისპირული შეკრების შემდეგ ჩაებნენ. „თავისუფალთა“ მსგავსად, მათაც 8-დან 7 წონის ფინალში იასპარეზეს და ყველა მოიგეს. 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის გადამწყვეტ პაექრობაში გიორგი კურტანიძემ თანაგუნდელ ლევან ქავჟარაძეს მოუგო. დანარჩენ წონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნუგზარ წურწუმია (50), დავით ჩხარტიშვილი (60), თემურ ჭკუასელიძე (74), გურამ ხეცურიანი (84) და გიორგი მელია (96). მძიმე წონაში ზვიად პატარიძემ შეკრებისას ფეხი იტკინა. რიგაში მის ნაცვლად მარად ვანაძემ იჭიდავა და მანაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

ლაშა დიდია

სამივე სინჯის თითო ჯილდო

ბულგარულ რუსეთში დაიწყო 23-წლამდელ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებული სტარტი აიღო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა. ასპარეზობის პირველ დღეს 4 წონაში გათამაშდა მედლები. ქართველებმა სამივე სინჯის თითო ჯილდო დაიმსახურეს. 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ბათუმელმა ლაშა გობაძემ (80). თბილისელმა კუკური კირცხალიამ (98) შარშანდელთან შედარებით კვარცხლბეკზე ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა და ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო მესამე ადგილი ხელვაჩაურელმა რამაზ ზოიძემ (71) დაიკავა. სენაკელ ხვიჩა ჭითავას (59) მედლამდე ერთი მოგება დააკლდა — მეხუთეზე გავიდა.

გობაძემ პირველ წრეში შვედ ბოგდან კურინოის 10:4 მოუგო, შემდეგ უკრაინელ იაროსლავ ფილჩაკოვს 8:1 აჯობა, ნახევარფინალში გერმანელი ჰანეს ვაგნერი დაამარცხა — 3:2. გადამწყვეტ პაექრობაში თურქ ბურჰან აკბუდაკთან 1:2-ს აგებდა, მაგრამ გონგამდე დარჩენილ წუთნახევარში მეტოქეს 7 ქულა აართვა და 8:2 გაიმარჯვა.

კირცხალია პირველ წრეში ისვენებდა. შემდეგ ზედიზედ მოუგო პოლონელ ალექსანდერ კროჟაკს, აზერბაიჯანელ ორხან ნურიევს, რუსეთელ მუსა ევლოევს — ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს. ქართველი მოჭიდავე ფინალში გერმანელ მუჰამედ ეტკა სევერთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ზოიძემაც ერთადერთი შეხვედრა წააგო — ნახევარფინალში თურქ იუნეს ემრე ბასართან, მანამდე კი გზიდან ჩამოიშორა ფრანგი მოჰამედ ზაროიური და უკრაინელი ალექსეი კალინიჩენკო, ხოლო დამამშვიდებლის ფინალში ბელარუს რუსლან აჰამალიევს სძლია.

გივი გაგუა

◎ სკანდალის შემდეგ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გულისყურით აკვირდებოდა დოპინგის გამოყენებაში ეჭვმიტანილ ქართველ მოჭიდავეებთან დაკავშირებულ ამბებს, მაგრამ ამ საგანგაშო ინფორმაციის საბოლოო დადასტურებამდე, გასაგები მიზეზების გამო, თავს ვიკავებდით რაიმე სახის ნაჩქარევი კომენტარისგან.

დღეს უკვე უტყუარად არის გამოკვლეული და დადგენილი ექვსი ქართველი სპორტსმენის ბრალეულობა აკრძალული პრეპარატის გამოყენებაში. ამის თაობაზე სეოკ-ის აღმასკომის 2016 წლის 29 მარტის სხდომაზე საბოლოო ოფიციალური ინფორმაცია წარმოადგინა საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ, რომელიც მოქმედებს მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის შესაბამისად. მართალია, დოპინგის გამოყენებაში მხილებულთა შორის არ არიან ჩვენი ოლიმპიური ლიცენზიანტები, მაგრამ ეს ფაქტი არამც და არამც არ ცვლის საერთო სურათს, რომელიც უკიდურესად შემაშფოთებელია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება სპორტში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ამის დასტურია მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები, საჯარო გამაფრთხილებელი განცხადებები (მათ შორის — სეოკ-ის ყოველწლიურ სესიებზე), რეგულარული სემინარები და ტრენინგები, თემატური საუბრები სპორტულ ფედერაციებთან, მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან, გახშირებული დოპინგ-ტესტები, სამედიცინო პერსონალის და დოპინგთან ბრძოლაში ჩართული ჯგუფების მხარდამჭერი პროგრამები, აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ანტიდოპინგურ ღონისძიებებში.

ჩვენ ვაღიარებთ და ვმოქმედებთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს რეკომენდაციებისა და წესების შესაბამისად, ვცდილობთ მკაცრად დავიცვათ ამ სფეროში მოქმედი რეგულაციები და პროცედურები, ღიად ვუპირისპირდებით აკრძალული და ყოვლად უღირსი მეთოდებით სპორტში წარმატების მიღწევის მსურველებს და მათს წამქეზებლებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, ბოლომდე გააზრებული არა აქვთ ამგვარი ქმედების საბოლოო კატასტროფული შედეგები.

სპორტი პატიოსანი ბრძოლის ასპარეზია და ამიტომაც ჰყავს მილიონობით მიმდევარი და გულშემატკივარი და როცა რომელიმე სპორტსმენი დანაშაულებრივ გზაზე დგება, ამით დარტყმის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ პირად სპორტულ კარიერას, ჯანმრთელობას და რეპუტაციას, არამედ — ლახავს მთელი ჩვენი სპორტის იმიჯს და ღირსებას, სახელს უტეხს იმ ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ და პატიოსნად ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

ჩვენ ვგმობთ დოპინგის გამოყენებაში მხილებულთა ყოვლად მიუღებელ საქციელს, კატეგორიულად ვემიჯნებით იმ ადამიანებს და ორგანიზაციებს, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიედ, ახალისებენ ან ხელს აფარებენ ამგვარი ქმედებების ჩამდენთ.

აუცილებელია, რომ დეტალურად იქნას გამოძიებული ამ სკანდალური საქმის ყველა გარემოება და გამოვლინდნენ ის პირები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით უშუალოდ იყვნენ ჩართულნი დანაშაულებრივ პროცესში. ველოდებით ასევე, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნება უმკაცრესი სანქციები.

დოპინგის გამოყენების ფაქტების მზარდი და უაღრესად საგანგაშო სტატისტიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელი უფრო მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად, რათა არ დავდგეთ რეალური სისტემური ხასიათის პრობლემების წინაშე, რაც, შესაძლოა, კატასტროფული შედეგის მომტანი გამოდგეს ჩვენი სპორტისთვის (კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს არა მარტო ცალკეული სპორტსმენების, არამედ ნაკრები გუნდების მონაწილეობა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოდის ინიციატივით ახლო მომავალში მოწვეულ იქნას წარმომადგენლობითი ანტიდოპინგური ფორუმი ხელისუფლების, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უცხოელი და ადგილობრივი კვალიფიციური ექსპერტების, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

ასევე ვაცხადებთ, რომ სეოკ-ის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე დოპინგ-ტესტზე შეამოწმოს თითოეული ოლიმპიელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვა რიო დე ჟანეიროში, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

◎ ფეხბურთი

უკეთესიც გვასოვს...

ვლადიმერ ვაისი საქართველოში ყაზახეთიდან მოვიწვიეთ, ამიტომ „კაირატის“ ყოფილმა თავკაცმა კარგად უწყოდა როგორც შუაზიელთა, ისე „ჯვაროსანთა“ ღირსებებისა და სუსტი წერტილების თაობაზე. თუ გაგიკვირდებათ, დანიშვნიდან სულ მცირე ხანში როგორ მოასწრო თავის ახალ შეგირდთა შესაძლებლობების სათანადოდ გაცნობაო, გიპასუხებთ, რომ სლოვაკმა სპეციალისტმა საპრეზენტაციო პრესკონფერენციაზე გაკეთებული ასეთი განცხადებითაც მოიგო ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა (ყოველ შემთხვევაში, მათი გარკვეული ნაწილის) გულები: „უკვე ნანახი მაქვს გუნდის უკანასკნელი ათამდე თამაშის ვიდეოჩანაწერი, პატივს ვცემ მის ყოფილ მწვრთნელთა, განსაკუთრებით კახი ცხადაძის ნამოღვაწარს, რომელთანაც დამეგობრებაც მოვასწარი“...

ასე რომ, მართალია სამშაბათის სუსხიან საღამოს „დინამო არენაზე“ გამართული ამხანაგური შეხვედრა ვაისისთვის ახალ ამპლუაში პირველი იყო, მაგრამ მთლად სადებიუტოდ მხოლოდ ოქმის შესავსებად გამოგვადგება.

საქართველო — ყაზახეთი 1:1 (1:1).

გოლები: ნურგალიევი (35-ე წთ), ოქრიაშვილი (37-ე წთ).

შეგახსენებთ, რომ „გაევროპელებისა“ და უეფაში გაწევრიანების შემდეგ ყაზახურმა კლუბებმა ჩვენებური გრანდები დაიბრიყვეს და პოპულარულ ევროტურნირებში „ფუნთუშებად“ აქციეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მთლად ბოლომდე არა, მაგრამ დამაფიქრებელი დოზით ანალოგიური ტენდენცია სანაკრებო დონეზეც თვალშისაცემია: გარდა იმისა, რომ დასახელებულ მეტოქეს საკუთარ მინდორზეც ვეღარ ვამარცხებთ, მასთან უკანასკნელი გასვლითი შეხვედრაც წავაგეთ ასტანაში, სადაც იქაური

ფეხბურთის საიუბილეო თარიღი აღინიშნებოდა.

სხვათა შორის, ბევრმა ეს შედეგი „ჯვაროსანთა“ ფეშქაშად მონათლა. როგორც ირკვევა, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნებისმიერი მესაჭე, ყოველ შემთხვევაში ახლო პერსპექტივაში, აუცილებლად დადგება კვალიფიციურ შემსრულებელთა დეფიციტის წინაშე, ამიტომ, გვინდა თუ არა, მოგვიწევს უსაფუძვლო ამბიციების მოთოკვა და მწარე სინამდვილისთვის თვალის გასწორება: რაცა ვართ, ესა ვართ.

* * *

ამხანაგური შეხვედრები:

გერმანია — იტალია 4:1, ინგლისი — ჰოლანდია 1:2, საფრანგეთი — რუსეთი 4:2, ავსტრია — თურქეთი 1:2, შვედეთი — ჩეხეთი 1:1, პორტუგალია — ბელგია 2:1, საბერძნეთი — ისლანდია 2:3, უკრაინა — უელსი 1:0, რუმინეთი — ესპანეთი 0:0, შვეიცარია — ბოსნია 0:2.

სამხრეთ ამერიკა. მუნდიალის შესარჩევი რაუნდი. არგენტინა — ბოლივია 2:0, პარაგვაი — ბრაზილია 2:2, ურუგვაი — პერუ 1:0, კოლუმბია — ეკვადორი 3:1, ვენესუელა — ჩილე 1:4.

გიორგი შოთაძე

ძირითადი ბირთვის შესარჩევად

წლეულს 13-18 სექტემბერს თბილისში ჭაბუკ მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება, მანამდე კი 19-24 ივლისს შვედეთი ევროპის პირველობას უმასპინძლებს. მწვრთნელები ამ მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის აქედანვე არჩევენ ნაკრები გუნდების ძირითად ბირთვს. ამ თვალსაზრისით, ცხადია, საქართველოს პირველობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც სასპორტო კომპლექს „არენაში“ მრავლად მოიყარეს თავი ჭაბუკმა მოჭიდავეებმა, თანაც ორ წონაში გოგონებმაც იბრძოლეს მედლებისთვის. ოთხდღიანი პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

თავისუფალი ჭიდაობა

ბიჭები

დიმიტრი სალდაძე (42 კგ, ქუთაისი), სიმონ ბერიძე (46, აჭარა), თორნიკე ქათამაძე (50, აჭარა), ამირან ვახტანგაშვილი (54, გორი), გიორგი ელბაქიძე (58, ამბროლაური), დანიელ მარქარაშვილი (63, კასპი), გოგა მამიაური (69, თბილისი), მირიან მაისურაძე (76, ონი), სიმონ ოსკანიანი (85, ქარელი), ელგუჯა ბალანჩივაძე (100, სამტრედია).

გოგონები

46 კგ. 1. თამუნა სამხარაძე (ჭიათურა), 2. გულიკო არუთინიანი (გორი), 3. მარიამ კარელიძე (გორი), აიშა ბადიროვა (თბილისი).

56 კგ. 1. თაკო ხოჯაშვილი (გორი), 2. ანი ნაზარაშვილი (გორი), 3. თეონა ჯანგავაძე (ქუთაისი), ქეთი ცქიტიშვილი (თბილისი).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

გიორგი ჩხიკვაძე (42, სენაკი), დავით ფუტკარაძე (46, აჭარა), გიორგი შოთაძე (50, ლანჩხუთი), ოთარ აბულაძე (54, აჭარა), ლერი აბულაძე (58, აჭარა), ქერიმ მაჩალიკაშვილი (63, ახმეტა), ლევან გოგუა (69, აჭარა), ლუკა ხუციშვილი (76, გარდაბანი), გიორგი ქაცანაშვილი (85, გარდაბანი), საბა ცეცხლაძე (100, ოზურგეთი).

ლექსო ცინცაძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი
კრედიტის/სესხის No.: IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის No.: P130413

დავალების სახელწოდება: დეტალური პროექტის მომზადება ჩუმათელეთი–ხევის მონაკვეთის მშენებლობისთვის

კონტრაქტის #: EWHIP-4/CS/QCBS-02

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„დეტალური პროექტის მომზადება ჩუმათელეთი–ხევის მონაკვეთის მშენებლობისთვის“.**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 8 თვე ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის დეტალური პროექტირებისთვის, მათ შორის დამქირავებლისთვის საჭირო დრო ანგარიშების გადასახედად და დასამტკიცებლად (დაახლოებით 10 – 12 კალენდარული დღე თითოეული ანგარიშისთვის). **ამას დამატებული 6 თვე** საბოლოო ანგარიშის (მოიცავს საბოლოო განსახლების სამოქმედო გეგმას) წარდგენიდან, იმისთვის რომ მოხდეს განსახლების სამოქმედო გეგმის განახლება/კორექტირება.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაციას.

შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში მთიან რეგიონში;
- მსგავსი გამოცდილება: ავტომაგისტრალისთვის მშენებლობისთვის დეტალური პროექტის მომზადება, მათ შორის ხიდების და გვირაბებისთვის უკანასკნელი 5 წლის განვალობაში (დაწყებული 2011 წლის იანვრიდან)

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – ’მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ- გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში” (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: ინფო გეოროად.გე

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2016 წლის 14 აპრილის, 15:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Fourth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE

Project No. P130413
Assignment Title: Preparation of Detailed Design for the Construction of Chumateleti-Khevi Section

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/QCBS-02

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Hereinafter “consultants”) to express their interest in providing the following services: **“Preparation of Detailed Design for the Construction of Chumateleti-Khevi Section”.**

The estimated duration of assignment is 8 months for Detailed Design of Chumateleti-Khevi section, including the time required for the Client to review and approve the reports (from around ten to twenty calendar days for each report). **Plus 6 months period** after submission of Final Design Report (including final RAP), for the purpose of updating/correcting of RAP.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of Interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:
General experience in road infrastructure projects in mountainous regions;
Similar experience: i.e. contracts of preparation of detailed design for highway construction including tunnels and bridges within the last 5 years (i.e. since January 2011);

Only successfully completed assignments will be taken into consideration during evaluation stage.

Note: The Road Department reserves it’s right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 – Revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Quality and Cost-based Selection method** set out in the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 - Revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

Interested consultants may obtain further information at the address: i

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **April 14, 2016, 15:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ვინ ცხოვრობს კარგად საქართველოში?

ნეკრასოვისებურად

ავგიორგობს რაკი,
ყიამყრალობს რაკი,
დაბრუნებას „ცოცხით“
ნატრობს კანდელაკი;
შეეგება სტუმარს ტყუილების
გუდით,
თან გვაშინებს ყველას ის და
მისი გუნდი:
„ვოტ პრიეხალ დოლი,
ჟოზეფ ვას რასსუდიტ,
ბარონ ვას რასსუდიტ,
ჟოზეფ ვას რასსუდიტ!“
და კვერს უკრავს ნათქვამს
ქვეყნის ავის მდომი
„ცოცხოსანი“ ყველა, „ნაცი“
ყველა დონის!

ალექსანდრე შენგელია

ქარმა დილომში სარეკლამო ბანერი მოგლიჯა

აშშ-ის საელჩოსთან ახლოს ძლიერმა ქარმა სარეკლამო ბანერი მოგლიჯა. ადგილზე საპატრულო პოლიციამ რკინის ჯებირებით სავალი გზის ნაწილი გადაკეტა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სასტუმრო „ვერე პალასში“ ხანძარი გაჩნდა

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განაცხადეს, ცეცხლი შენობის მეხუთე სართულზე გაჩნდა და სასტუმროს ერთი ნომერი დაიწვა.

„შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა. ადგილზე 4 სამაშველო სახანძრო ბრიგადა მუშაობდა. ხანძარი ლიკვიდირებულია“, — აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი უცნობია.

ზამთარში უგუნებოდ რომ არ იყოთ

დიეტოლოგებმა სურსათს მიაგნეს, რომელსაც ზამთრის დეპრესიისგან განკურნება შეუძლია.

აღმოჩნდა, რომ ანტიდეპრესანტთა შორის არიან მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები (ნიგოზი, მზესუმზირა, პარკოსნები), ხორცის ნახარში, შვრიის ფაფა. ასევე ამ ნუსხაშია შოკოლადი, რომელიც ანტიოქსიდანტებსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს დიდი ოდენობით შეიცავს.

პელმენის დღე

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი უდმურტეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში... პელმენის საერთაშორისო დღე დააარსეს და 8 თებერვალს დედაქალაქ იჟევსკში უკვე მეორედ აღნიშნეს.

რატომ მაინცდამაინც უდმურტეთში? იმიტომ, რომ აქაურები დარწმუნებულები არიან, რომ ამ პოპულარული რუსული კერძის, ასე ვთქვათ „წინასახე“, სხვა არაფერია, თუ არა „პურის ყური“, რომლის უდმურტული სახელია „პელნიანი“.

უდმურტეთიდან, ციმბირის დიდი შარაგზით, პელნიანმა, რომელიც იქ, თავის მხრივ, როგორც ჩანს, ჩინეთიდან მოხვდა, ხანგრძლივი მოგზაურობა მთელ რუსეთში დაიწყო. უდმურტეთში კი ახალ-ახალ ფორმებს უგონებენ. ამჟამად იქ დიდად პოპულარულია თევზის ფორმის პელმენები...

სახიფათო რემონტი

მკვლევარებმა ერთობ საგანგაშო დასკვნა გამოიტანეს: თურმე ბინის რემონტი, შესაძლოა, მეტად სერიოზულ დაავადებათა მიზეზი გახდეს.

სარემონტო სამუშაოების დროს წარმოშობილ მტვრის უმცირეს ნაწილაკებს ფილტვებსა და სისხლძარღვებში შეღწევის უნარი ჰქონიათ, რაც სხვადასხვა სახეობის დაავადებას იწვევს. ყველაზე მეტი სახიფათო ნაწილაკი კი დაცემენტების, ბურღვისა და გაჯის სამუშაოების დროს წარმოიშვება.

კლიმატის ჭირვეულობა

ბოლო წლებში კლიმატი დედამიწაზე განუხრელად თბება, ტემპერატურა იწევს, მეტეოროლოგები აცხადებენ, რომ 2015 წელი, მეტეოდაკვირვებათა მთელი ისტორიის მანძილზე, ყველაზე ცხელი იყო. ამბობენ იმასაც, რომ დათბობის ტენდენცია წლეულსაც შენარჩუნდება.

საქმე ის არის, რომ 2016-ში დედამიწაზე კლიმატის უმთავრესი განმსაზღვრელი ორი ფაქტორი — წყნარი ოკეანის დინება ელ-ნინიო და ატმოსფეროში გაფრქვეული გაზების სათბურის

ეფექტი — უარყოფით ზეგავლენას კიდევ უფრო გააძლიერებს: პირველი, რომელიც ოკეანეში წყალს „აგრილებს“, შენელდება, ჰაერში კი უფრო მეტი ნახშირორჟანგი გაიფრქვევა.

რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ ჩვენ უაღრესად ხელსაყრელ კლიმატურ ვითარებაში გვიწევს ცხოვრება, რომლის ხანგრძლივობა სულ 10 ათასი წელია. ბოლო 2 მილიონი წლიდან 1,8 მილიონი წლის მანძილზე დედამიწაზე ყინულოვანი პერიოდი იყო, რომელიც, დიდი ალბათობით, გეოლოგიურად მოკლე დროში კვლავ დაბრუნდება.

აბა, ამასა ჰყოლია, აი!

ყაბარდო-ბალყარეთში, ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მოსამსახურემ, ავტოფარეხიდან მანქანა გაიტაცა და პოლიციის ორ ოპერატიულ მანქანას ზედ გადაუარა, რომლებმაც მას გზა ჩაუხერგეს.

ამის შემდეგ კი გზიდან გადავიდა და პოლიციისთვის განკუთვნილი ტყვიები თანამშრომლებს დაუშინა, ამასთანავე, რამდენიმე ბრიკეტი... ანაშა შეჭამა, რომელიც გასაყიდად მიჰქონდა.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

— ბრალდებულო, როგორია თქვენი ბოლო სიტყვა? — კითხულობს მოსამართლე განაჩენის გამოცხადების შემდეგ.

— 100 000.

— სასამართლო სათათბიროდ გადის...

* * *

— დედი, ბიჭები სკოლაში პედერასტს მეძახიან!

— მერე ვერ მოსცხებ ყბაში?

— რას ამბობ, დედი, ისინი ისეთი საყვარლები არიან!

* * *

მამა თავის ზრდასრულ გოგოს მოძღვრავს:

— შვილო, შეყვარებული სიგიჟემდე უნდა მიიყვანო. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს შეუძლია დაქორწინდეს.

* * *

— ეს შარვალი, უბრალოდ, გხატავთ. თითქოს სპეციალურად თქვენთვის არის შეკერილი! — ეუბნება გამყიდველი მუშტარს.

— გმადლობთ, მაგრამ, ვგონებ, იღლიებში ცოტათი მიჭერს.

* * *

— რამდენი დაგისხა სუფი?

— რამდენიც შენთვის დაისხი.

— ოჰო, კარგი ღორმუცელა ყოფილხარ.

* * *

დაძალმა დაბადების დღეზე ჩექმები მაჩუქა — თავი ისედაც გაყინული გაქვს და ფეხები მაინც გქონდეს თბილადო.

* * *

ებრაელი სახლამდე ტაქსით მივიდა. უხმოდ გადმოვიდა მანქანიდან და ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო, თან ბურტყუნებს, როგორც ჩანს, საფულე მანქანაში დამივარდაო.

ამის გაგონებაზე ტაქსისტმა მანქანა დაქოქა და იქიდან აორთქლდა.

— მართალი ყოფილა მოშე, ჭრის ეს ხერხი, — იქედნურად ჩაიცინა ებრაელმა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.374; ევრო - 2.660;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.389;
100 რუბლი - 3.461; თურქული ლირა - 0.827;
აზერბაიჯანული მანათი - 1.516;
1000 სომხური დრამი - 5.934

ამინდი 31 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +0, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +5
თბილისი: ღამე +4, დღე +11

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE